


დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

ს. კვიციანი 04/06/2017



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე ახორციელებს 17 15 576 (ჩვიდმეტი მილიონ შვიდას თხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზებას

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია ემისიის შესახებ 3

2. ზოგადი ინფორმაცია ემიტენტის შესახებ..... 4

3. ემიტენტის მიერ აქციათა ემისიის ისტორია 5

4. ინფორმაცია ვეტებუ ჯგუფის შესახებ 7

5. ინფორმაცია ემიტენტის მენეჯმენტის შესახებ 8

6. ემიტენტის საქმიანობა..... 11

7. ემიტენტის საკუთრებაში არსებული აქციები/წილები:..... 12

8. არსებითი მნიშვნელობის მქონე დავები 12

9. ინფორმაცია დაკავშირებულ პირებთან დადებული გარიგებების შესახებ..... 14

10. ემიტენტის საქმიანობის ზედამხედველობა და მისი გავლენები 15

11. ზოგადი ფინანსური მაჩვენებლები 21

12. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდეციები და ინფორმაცია..... 41

13. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები..... 45

14. გამოშვებული აქციების კლასი და რაოდენობა..... 89

15. გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლების შეძენა. 89

16. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოქმედი ან პოტენციური აქციონერისათვის..... 91

17. აქციათა განთავსების შედეგად მიღებული შემოსავლების გამოყენება. 93

დანართი:

1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერის – საჯარო სააქციო საზოგადოება ბანკ ვეტებეს 2017 წლის 2 ივნისის ერთპიროვნული გადაწყვეტილება.
2. სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. აუდიტის მიერ დადასტურებული 2015 და 2016 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები.

1. ზოგადი ინფორმაცია ემისიის შესახებ

წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ, კაპიტალში დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, ხორციელდება 17 715 576 (ჩვიდმეტი მილიონ შვიდას თხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება, რაც გულისხმობს, რომ ემისიის პროსპექტის საფუძველზე ხდება ახალი აქციების გამოშვება, რომლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლები აისახება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კაპიტალში. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 [ერთი] ქართულ ლარს, კერძოდ, ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული აქცია არ შეიძლება იქნას გაყიდული 1 ლარზე დაბალ ფასად.

გადაწყვეტილება აქციათა გამოშვების და მათი განთავსების [გაყიდვის] შესახებ მიღებული იქნა საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკი ვეტებს“ მიერ, რომელიც წარმოადგენს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციების 97.142084%. მფლობელ, რუსეთის ფედერაციის რეზიდენტ იურიდიული პირს.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ წესდება ითვალისწინებს მისი არსებული აქციონერების უფლებას, რომ ახალი აქციების გამოშვების დროს, უპირატესად შეისყიდონ აღნიშნული აქციები. შესაბამისად, წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული აქციების შესაძენად შეთავაზება პირველ რიგში ხდება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ არსებული აქციონერებისადმი.

წინამდებარე ემისიის პროსპექტი მომზადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და მიზნად ისახავს პოტენციური შემძენი პირებისთვის სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ემიტენტის [სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“] და ემისიის შესახებ. ემისიის პროსპექტი შეიცავს ინფორმაციას ემიტენტის და მისი საქმიანობის შესახებ, აქციების ფლობასთან დაკავშირებულ უფლება - მოვალეობებს, საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, ასევე პროცედურას თუ ვის მიერ, როგორ და რა მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი აქციათა შეძენა. თითოეული აღნიშნული საკითხი უფრო დაწვრილებით ფართოდ არის გამჟღავნებული ემისიის პროსპექტის შესაბამის ნაწილებში.

ფასიანი ქაღალდების წინამდებარე პროსპექტი ასევე შეიცავს ემიტენტის – საკრედიტო ორგანიზაციის უფლებამოსილი ორგანოების შეფასებებს და პროგნოზებს სამომავლო მოვლენათა და ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილია დასკვნებისა და ანალიზის სახით ეკონომიკის დარგების, საბანკო სისტემის განვითარების, კონკურენტული გარემოს შეფასების, ემიტენტის საქმიანობათა მიმართულებების მიხედვით ფინანსური შედეგების, სამომავლო გეგმების, ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებისა და მორიგი ემისიის გამოშვებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების სახით.

პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ემიტენტის–საკრედიტო ორგანიზაციის უფლებამოსილი ორგანოების შეფასებები და პროგნოზები შეიძლება მომავალში დაექვემდებაროს

ცვლილებებს მრავალი მიზეზის გამო და მასზე სრულად დაყრდნობა არ შეიძლება. პოტენციურმა ინვესტორებმა უნდა იცოდნენ, რომ მომავალზე ორიენტირებული განცხადებები არ წარმოადგენს შესრულების უცილობელ გარანტიებს და ემიტენტის ფაქტობრივი შედეგები, ფინანსური მდგომარეობა და სხვა გარემოებები, შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს წინამდებარე პროსპექტში მოცემული შეფასებებისაგან.

ემიტენტის ფასიანი ქაღალდის შემენა დაკავშირებულია რისკებთან, რომელიც აღწერილია წინამდებარე ემისიის პროსპექტში. ემისიის პროსპექტი მოიცავს საქართველოსთან დაკავშირებულ მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკების, საბანკო სექტორთან და ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების (საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო (მათ შორის სამართლებრივი), მოდელურ, კონცენტრაციის, შესაბამისობის (კომპლაენს), სტრატეგიულ, რეპუტაციის რისკებს) დეტალურ აღწერას, მოცემულია ამ რისკებისათვის დამახასიათებელი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი.

ემიტენტი თვლის, რომ ემისიის პროსპექტში აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს იძლევიან აქციის გამოშვებასთან დაკავშირებულ რისკებზე. თუმცა, ემიტენტი არ ამტკიცებს, რომ რისკების აღნიშნული ჩამონათვალი და მახასიათებლები სრული და ამომწურავია. პოტენციური ინვესტორები გულდასმით უნდა გაეცნონ ემისიის პროსპექტში მოცემული რისკების თაობაზე დეტალურ ინფორმაციას, დამატებით მოიპოვონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და ამის საფუძველზე მოახდინონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება აქციებში ინვესტირებასთან დაკავშირებით.

ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება მის ფორმას და არ წარმოადგენს მასში მოცემული შინაარსის, დასკვნებისა და პროგნოზების სისწორის დასტურს.

ემიტენტი, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, პოტენციურ შემძენს მოუწოდებს, რომ სრულად და ყურადღებით გაეცნოს ემისიის პროსპექტს, რათა მიიღოს ამომწურავ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

2. ზოგადი ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

2.1. **საფირმო სახელწოდება:** სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

2.2. **საიდენტიფიკაციო ნომერი:** 202906427

2.3. **იურიდიული მისამართი:** 0108, საქართველო, ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №14.

2.4. **საკონტაქტო ინფორმაცია:** ტელ: + 995 322242424. ელ. ფოსტა: info@vtb.ge. ვებ გვერდი: vtb.ge

2.5. **დაფუძნება:** სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომ „ბანკი“ ან „ემიტენტი“) წარმოადგენს საბანკო დაწესებულებას. ბანკი შექმნილია კომერციული ბანკების „საქექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკისა“ და საპაიო კომერციული ბანკის „ახალი ქართული ბანკის“ შერწყმის გზით 1995 წლის 7 აპრილს და ატარებდა ოფიციალურ სახელწოდებას სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“, რომელიც

რეგისტრირებულ იქნა 1995 წლის 19 მაისს, ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომრით 03/5-1. 2006 წლის 7 დეკემბერს, სს „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ შეეცვალა სახელი და ეწოდა სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ წარმოადგენს „საქექსიმბანკის“, „ინდუსტრიაბანკის“, საპაიო კომერციული ბანკის „ახალი ქართული ბანკის“ და სს „გაერთიანებული ქართულ ბანკის“ უფლებამონაცვლესა და სამართალმემკვიდრეს.

2.6. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ არის ერთ-ერთი წამყვანი ბანკი საქართველოს ბაზარზე, რომელიც დაკრედიტების პორტფელით მე-4 ადგილს იკავებს (5,1%), ხოლო კლიენტებისაგან მოზიდული დეპოზიტების პორტფელით მე-5 ადგილზე (4,9%) იმყოფება. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ იღებს დეპოზიტებს მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, როგორცაა: გარანტიები, აკრედიტივები, ოვერდრაფტები, სადეპოზიტო და მიმდინარე ანგარიშები, ასევე საკრედიტო და სადებეტო ბარათები. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 20 ფილიალი (10 მათგანი თბილისში) და 16 სერვისცენტრი.

2.7. ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება: ემიტენტის მიერ გამოშვებულ აქციათა რეესტრს და აქციებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებს, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი სს „კავკასრეესტრი“ (ს/ნ: **211369115**, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #74ა, ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული. ტელ. 2500211).

2.8. ემიტენტის მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ:

- 2.8.1 აქციონერთა საერთო კრება.
- 2.8.2 სამეთვალყურეო საბჭო.
- 2.8.3 დირექტორატი.
- 2.8.4 გენერალური დირექტორი.

3. ემიტენტის მიერ აქციათა ემისიის ისტორია

3.1. 1997 წლის 7 მარტი : ბანკის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 12 000 000 ლარს, რომელიც დაყოფილი იყო 12 000 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით ერთი ლარი თითოეული.

3.2. 1997 წლის 4 დეკემბერი : ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 14 600 000 ლარამდე, რომელიც დაიყო 14 600 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისია დარეგისტრირებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ 1997 წლის 5 დეკემბერს რეგისტრაციის № 239-1-3-20-097/456.

3.3. 1998 წლის 14 მარტი : ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 21 000 000 ლარამდე, რომელიც დაიყო 21 000 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისია დარეგისტრირებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს მიერ 1998 წლის 22 აპრილს რეგისტრაციის №239-1-4-20-133.

- 3.4. 2005 წლის 7 აპრილი და 15 ივლისი : ბანკის აქციონერთა საერთო კრებების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი საერთო ჯამში გაიზარდა 41 000 000 ლარამდე, რომელიც დაიყო 41 000 000 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.
- 3.5. 2007 წლის 18 დეკემბერი : ბანკის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 86 388 002 ლარამდე, რომელიც დაიყო 86 388 002 ჩვეულებრივ სახელობით აქციად, ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.
- 3.6. 2008 წლის 8 აგვისტო : ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ ნებადართული აქციების ოდენობა განსაზღვრა 18 187 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის ოდენობით.
- 3.7. 2009 წლის 14 აპრილი: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის 14 აპრილის №04/2009 გადაწყვეტილებით შესაბამისად, ნებადართული აქციების ფარგლებში ბანკმა განახორციელა 15 748 425 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, გამოშვებულ აქციათა საერთო ოდენობამ შეადგინა 102 136 427 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო გამოშვებულ აქციათაგან განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 102 104 126 ცალი ჩვეულებრივი აქცია.
- 3.8. 2009 წლის 9 ოქტომბერი: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №12/2009 გადაწყვეტილებით შესაბამისად, ნებადართული აქციების ფარგლებში ბანკმა განახორციელა 2 438 575 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, გამოშვებულ აქციათა საერთო ოდენობამ შეადგინა 104 575 002 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო გამოშვებულ აქციათაგან განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 104 542 701 ცალი ჩვეულებრივი აქცია.
- 3.9. 2010 წლის 2 ივნისი ბანკის აქციონერთა საერთო კრებამ ნებადართული აქციების ოდენობა განსაზღვრა 43 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის ოდენობით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 2010 წლის 2 ივნისის №09/2010 გადაწყვეტილებით შესაბამისად, ნებადართული აქციების ფარგლებში ბანკმა განახორციელა 43 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, გამოშვებულ აქციათა საერთო ოდენობამ შეადგინა 148 075 002 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო გამოშვებულ აქციათაგან განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 148 042 701 ცალი ჩვეულებრივი აქცია.
- 3.10. 2011 წლის 14 თებერვალი ბანკის აქციონერის – დსს „ბანკ ვეტებს“ 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით განხორციელდა 32 301 ცალი განუთავსებელი აქციის (თითოეული ნომინალური ღირებულებით – 1ლარი) გაუქმება.
- 3.11. 2013 წლის 23 ივლისი ბანკის აქციონერის – დსს „ბანკ ვეტებს“ 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ბანკმა განახორციელა 12 250 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 160 292 701 ცალი ჩვეულებრივი აქცია
- 3.12. 2014 წლის 28 თებერვალი ბანკის აქციონერის – დსს „ბანკ ვეტებს“ 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ბანკმა განახორციელა 11 000 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული. აღნიშნული ემისიის შედეგად, განთავსებულ აქციათა საერთო რაოდენობამ შეადგინა 171 292 701 ცალი ჩვეულებრივი აქცია.

3.13. 2015 წლის 13 ოქტომბერი ბანკის აქციონერის – საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ ვეტებს“ 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბანკმა განახორციელა 20 000 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება ნომინალური ღირებულებით 1 ლარი თითოეული.


დღეისათვის ბანკის განთავსებულ აქციათა ოდენობა შეადგენს 191 292 701 ცალ ჩვეულებრივ აქციას.

4. ინფორმაცია ვეტებე ჯგუფის შესახებ

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ძირითად აქციონერს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის რეზიდენტი იურიდიული პირი საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკი ვეტებე“, წილი ემიტენტის კაპიტალში შეადგენს 97.142084 %, შესაბამისად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ არის მსხვილი საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრი, რომელიც მეორეა სიდიდით რუსეთში. ვითიბი ჯგუფი ფლობს ფართო ქსელს რუსეთში (7,7 ათასი გაყიდვის წერტილი) და წარმატებულად აფართოებს წარმომადგენლობას მსოფლიოს წამყვან ფინანსურ ბაზრებზე. 2016 წლის ბოლოს მონაცემებით ვითიბი ჯგუფის საბანკო ბიზნესი წარმოდგენილია მსოფლიოს 22 ქვეყანაში. ასევე ვითიბი ჯგუფის საფინანსო და საბანკო მომსახურებით სარგებლობს 23,5 მლნ. კლიენტი.

ვითიბი ჯგუფი გრძელვადიანი სტრატეგიით გეგმავს გააგრძელოს განვითარება ყველა არსებული მიმართულებით, მათ შორის საკრედიტო დაბანდების გეგმაზომიერი ზრდა საცალო და კორპორატიული ბიზნესის დასაფინანსებლად. შვილობილი კომპანიების მხარდაჭერა. ფასიანი ქაღალდებით აქტიური ვაჭრობა მსოფლიოს წამყვან ფინანსურ ბაზრებზე.

4.1 ვითიბი ჯგუფის შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ:



5. ინფორმაცია ემიტენტის მენეჯმენტის შესახებ

კანონმდებლობით განსაზღვრულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ბანკის ადმინისტრატორი [კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ანდა ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აიღოს ვალდებულებები].

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფენ, რომ ბანკის მართვა და გადაწყვეტილებები მიღებული იქნას ისეთი პირების მიერ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა, კომპეტენცია და გამოცდილება, რაც თავის მხრივ არის წინაპირობა ბანკის საქმიანობის სტაბილურობის და განვითარების.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მართვა ხორციელდება კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. აქციონერთა საერთო კრება ნიშნავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც თავის მხრივ ნიშნავენ ბანკის დირექტორატის წევრებს. ამჟამად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

სამეთვალყურეო საბჭო: თავმჯდომარე მიხეილ ზადორნოვი, წევრები: ასია ზახაროვა, ანა შუმეიკო, ვსევოლოდ სმაკოვი, მიხეილ ოსეევსკი.

გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე: დაბადების თარიღი: 08.10.1971. 2009 ოქტომბრიდან დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი. 2008 წლიდან

2009 ოქტომბრამდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ – კორპორაციული ბიზნესის დირექტორი. 2007-2008 “ენერგო პრო ჯორჯია” – ფინანსური მენეჯერი. 2006-2007 საქართველოს გაერთიანებული ენერგო კომპანია – გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში. 2004-2005 საქართველოს რკინიგზა – დირექტორი, ფინანსები. 2004 ბრიტანულ-კავკასიური სადაზღვევო კომპანია – დირექტორი, საპენსიო დაზღვევა. 2003 ბანკი “რესპუბლიკა” – სტრატეგიული განვითარების კონსულტანტი. 1998-2003 ბანკი “რესპუბლიკა” – გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე. 1996-1998 ბანკი “რესპუბლიკა” – გენერალური დირექტორის მოადგილე. 1994-1995 პირველი პროფესიონალური ბანკი (მოსკოვი) – საწარმოო ფასიანი ქაღალდების განყოფილების უფროსი. 1994 პირველი პროფესიონალური ბანკი (მოსკოვი) – საფონდო დილერი. 1990 Alcatel Telecommunications (ვენა) – ასისტენტი. 1993 ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი) – კურსი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში. 1991-1994 წმინდა ბონავენტურას უნივერსიტეტი (აშშ) – კორპორაციული ფინანსები. 1988-1991 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი.

რისკების დირექტორი, დირექტორატის წევრი ნიკო ჩხეტიანი: დაბადების თარიღი: 15.03.1977წ. 17.10.2011 დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ რისკების დირექტორი. 09.12.2009 – 17.10.2011 წ. სს

„ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კორპორატიული ბიზნესის დირექტორი. 17.09.2008-09.12.2009 სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” – საბანკო რისკების დირექტორი, 23.01.2007-08.2008 სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” – გენერალური დირექტორის მოადგილე, საბანკო რისკების სამმართველოს უფროსი. 01.12.2005-23.01.2007 სს “გაერთიანებული ქართული ბანკი” – კორპორატიული ბიზნესის მართვის სამმართველოს უფროსი. 01.09.2005–01.12.2005 – სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ კორპორატიულ კლიენტთა დაკრედიტების სამმართველოს უფროსი. 11.04.2005–01.09.2005–სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ კორპორატიული კლიენტების დაკრედიტების დეპარტამენტის დირექტორი. 01.04.2002–17.11.2003 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ რუსთაველის ფილიალის მმართველის მოადგილე/საკრედიტო განყოფილების უფროსი. 14.03.2002–01.04.2002 სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ რუსთაველის ფილიალის მმართველის მოადგილე/საკრედიტო განყოფილების უფროსის მ.შ.. 23.07.1998–14.03.2002–სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ ფინანსური მენეჯერის თარჯიმან რეფერენტი. 08.12.2003-01.03.2004 სს „ბანკი რესპუბლიკა“ – დაკრედიტების დირექტორის მოადგილის მ.შ.. 01.03.2004 – 01.02.2005 სს „ბანკი რესპუბლიკა“ დაკრედიტების დირექტორის მოადგილე. 01.02.2005 – 18.04.2005 სს „ბანკი რესპუბლიკა“ N3 სერვისცენტრის უფროსი, ცენტრალური ფილიალი. 1994-1998 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსები და საბანკო საქმე ბაკალავრი. 1998–2000 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სავალუტო–საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები და მათი ფუნქციონირების მექანიზმი–მაგისტრი.

ფინანსური დირექტორი, დირექტორატის წევრი მამუკა მენტეშაშვილი: დაბადების თარიღი: 10.03.1973. 2011 წლის 17 ოქტომბრიდან დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი. 09.12.2009–17.10.2011 სს “ვითიბი ბანკი ჯორჯია” – რისკების დირექტორი. 01.12.2008–09.12.2009 – სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“– გენერალური დირექტორის მრჩეველი. 14.06.2007–13.05.2008 „საქართველოს ეროვნული ბანკი“– ბანკების ინსპექტირების განყოფილების უფროსი, ზედამხედველობის დეპარტამენტი. 03.04.2007–14.06.2007 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი სპეციალისტი, ბანკების ინსპექტირების განყოფილება. 13.12.2005–03.04.2007 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტი, ბანკების ინსპექტირების განყოფილება. 03.10.2005–13.12.2005 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტის მოვალეობის შემსრულებელი, ბანკების ინსპექტირების განყოფილება, ზედამხედველობის დეპარტამენტი. 22.07.2005–03.10.2005 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტი, სპეციალურ დავალებათა განყოფილება, საბანკო და არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი. 04.08.2004–22.07.2005 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ მთავარი ეკონომისტი, საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო. 02.06.2003-04.08.2004 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ სპეციალურ დავალებათა განყოფილების წამყვანი ეკონომისტი. 04.02.2003–02.06.2003 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ სპეციალურ დავალებათა განყოფილების უფროსი ეკონომისტი. 01.01.2000–04.02.2003 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ბანკების ინსპექტირების განყოფილების უფროსი ეკონომისტი. 15.03.1999–01.01.2000 „საქართველოს ეროვნული ბანკი“ ლიცენზირების სექტორის ეკონომისტი, საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველო. 01.05.1996–11.04.1997 ისნის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია სახელმწიფო საგადასახადო ინსპექტორი. 1995 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტი, 2000 წელს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურა (საინჟინრო ეკონომიკა).

საცალო ბიზნესის დირექტორი, დირექტორატის წევრი, ვალერიან გაბუნია: დაბადებული: 22.09.1982 წ. 17.05.2010–დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ – საცალო ბიზნესის დირექტორი. 16.09.2008 – 17.05.2010 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოს უფროსი. 01.2007 – 05.2007 სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ საცალო გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი. 03.2006 – 01.2007 სს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გაყიდვების დეპარტამენტის საცალო დაზღვევის განყოფილების უფროსი. 10.2005–03.2006 სს „პროკრედიტბანკის“ კორპორატიული ბანკირი. 03.2005 – 10.2005 – სს „პროკრედიტბანკის“ კორპორატიული სესხების საკრედიტო ანალოტიკოსი, ხოლო 10.2004 – 03.2005 კორპორატიული სესხების საკრედიტო ექსპერტი. 06.2004 – 10.2004 – სს „პროკრედიტბანკის“ ცენტრალური ფილიალის საკრედიტო ექსპერტ-სტაჟიორი. 01.2003 – 04.2004 შპს „ი.რ.ა.“–ს ბაქო – თბილისი – ჯეიხანის პროექტის სერვისის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ასისტენტი. 2007– 2010 სწავლობდა ჩესტერის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში (დიდი ბრიტანეთი), მიენიჭა მაგისტრის წოდება ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. 1999–2003 სწავლობდა თბილისის სახ. უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე.

კორპორატიული ბიზნესის დირექტორი, დირექტორატის წევრი ვლადიმერ რობაქიძე: დაბადებული 16.12.1973 წ. 17.10.2011 – დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ კორპორატიული ბიზნესის დირექტორი. 01.06.2008–01.10.2011 – სს „HSBC ბანკი საქართველო“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 01.04.2006–01.06.2008 „Caspian Black Sea Solutions“ გენერალური დირექტორი. 01.09.2000–01.03.2006 სს „საქართველოს ბანკი“ გენერალური დირექტორის მოადგილე. 01.03.1999–01.09.2000 სს „საქართველოს ბანკი“ საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი. 01.06.1998–01.03.1999 სს „საქართველოს ბანკი“ საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. 01.03.1997–01.06.1998 სს „საქართველოს ბანკი“ დოკუმენტური ბიზნესის განყოფილების უფროსი. 01.02.1996–01.03.1997 სს „საქართველოს ბანკი“ უფროსი ეკონომისტი. 1990–1995 სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა ინჟინერ–ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1993–1996 სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიენიჭა სამართალმცოდნეობის სპეციალისტის წოდება. 2003 წლის ნოემბერში მიიღო დიპლომი ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკში (European Bank of Reconstruction and Development), სპეციალობა და საგნები: საერთაშორისო სავაჭრო ფინანსები, სტრუქტურირებული სავაჭრო ფინანსები და სავაჭრო ფინანსების რისკები.

საოპერაციო დირექტორი, დირექტორატის წევრი ირაკლი დოლიძე: დაბადებული: 18.06.1977წ. 05.11.2015 დღემდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საოპერაციო დირექტორი. 2007-2009 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ -პერსონალის სამმართველოს უფროსი. 2009-2015 ვიცე-პრეზიდენტი-პერსონალის სამმართველოს უფროსი. 2005-2007 საქართველოს ეროვნული ბანკი ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 10.2005-11.2005 საქართველოს ეროვნული ბანკი ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის კადრების განყოფილების უფროსი. 2002-2005 საქართველოს

ეროვნული ბანკი ადამიანური რესურსის მართვისა და საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსის მოადგილე. 08.2002-11.2002 საქართველოს ეროვნული ბანკი პერსონალის სამმართველოს პერსონალის შერჩევისა და შეფასების უფროსი მენეჯერი. 2000-2002 საქართველოს ეროვნული ბანკი პერსონალის სამმართველოს პერსონალის მომზადებისა და განვითარების ჯგუფის სპეციალისტი. 1998-2003 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკის მაგისტრი. 1998წ. აშშ ინდიანაპოლისის უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი.

6. ემიტენტის საქმიანობა.

საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ განსაზღვრულია, თუ რა საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნიათ კომერციულ ბანკებს, ესენია:

- პროცენტის და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა.
- სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით.
- საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, მვირფასი ლითონების და მვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა.
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება.
- გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით).
- უპროცენტო საბანკო მომსახურება.
- საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე.
- კლიენტების დავალებით ნდობით (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება.
- ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით.
- საკრედიტო-საცნობარო მომსახურება.
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა.
- ქონების იჯარით გაცემა.
- საგადახდო მომსახურების განხორციელება, საგადახდო სისტემის ოპერირება, ანგარიშსწორების აგენტის ფუნქციების შესრულება.

➤ ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

7. ემიტენტის საკუთრებაში არსებული აქციები/წილები:

დასახელება	ინვესტირებული თანხა (ლარი)	წილი კაპიტალში
სს “ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი”	300	0.003%
სს “გაერთიანებული კლირინგ ცენტრი”	54,000	6.25%
შპს “ქართული საფონდო კომპანია”	11,000	100.00%
საქართველოს საბანკო-საფინანსო აკადემია	16,200	16.67%
სს “ამერიკული აკადემია თბილისში”	20,000	1.89 %
სს “გუდაური” ყოფილი სს “გერგეთი”	1,076,338	10.33 %

8. არსებითი მნიშვნელობის მქონე დავები

ბანკის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და ბანკის ინტერესების მაქსიმალური დაცვით. მიუხედავად აღნიშნულისა ბანკი აწარმოებს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ დავებს, ძირითად შემთხვევებში ბანკი თავად წარმოადგენს მოსარჩელეს ხოლო სარჩელის საგანს - მის წინაშე არსებული საკრედიტო დავალიანების გადახდის შესახებ მოთხოვნა. წინამდებარე მუხლში ამომწურავად ვუთითებთ იმ დავებს, სადაც ბანკი წარმოადგენს მოპასუხეს:

სარჩელის აღძვრის თარიღი	მოსარჩელე	დავის საგანი	სარჩელის ფასი
14.11.2014	გოჩა გიუნაშვილი	ჩაითვალოს ანულირებულად მისარჩელის ვალდებულებები ბანკის მიმართ და გაბათილდეს იპოთეკის ხელშეკრულება	
27.11.2014	არჩილ სულთანაშვილი	მოსარჩელე ითხოვს, რომ ბანკს დაეკისროს თანხობრივი ვალდებულება - ძირითადი თანხის და ყოველწლიური დივიდენდის გადახდა, გამომდინარე სამართლებრივი გარემოებიდან, რომლითაც მისი დეპოზიტი	472815 ლარი

		ბანკში გარდაიქმნა წილად.	
07.07.2016	შპს "სოფტმასტერი"	ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება	100800 დოლარი
04.05.2015	შპს "სოფტმასტერი"	ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება	449675.94 ლარი
22.02.2016	ჟუჟუნა ზარნაძე	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	(900 ლარი ყოველთვიურად აღდგენამდე)
16.03.2016	ეკონომიკის სამინისტრო	ელექტროენერჯის დავალიანება	468.5 ლარი
21.02.2017	ანარ იბადოვ	მოსარჩელე ითხოვს მასსა ბანკს შორის გაფორმებული სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობას, ასევე ითხოვს კერძო აღმასრულებლისმირ გაცემული აუქციონის შედეგების შესახებ განკარგულების ბათილად ცნობას.	
15.02.2017	ზურაბ მარგველაშვილი	აუქციონის შედეგების შესახებ განკარგულების ბათილად ცნობა	
28.04.17	სოფლის მეურნეობის სააგენტო	ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება	
30.05.2017	თამარ მჭედლიძე	შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაცია და სამუშაოზე აღდგენა	
21.03.2017	დავით ჩარკვიანი	კრედიტ ინფოდან მოსარჩელის მონაცემების ამოღების შესახებ	

9. ინფორმაცია დაკავშირებულ პირებთან დადებული გარიგებების შესახებ

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული არსებითი ოპერაციები მოიცავს ტრანზაქციებს დედა კომპანიასთან. ტრანზაქციები მოიცავს როგორც მიმდინარე ლიკვიდობის, ასევე კლიენტების საქმიანობის დაფინანსების უზრუნველსაყოფად განხორციელებულ ოპერაციებს. კერძოდ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- მიმდინარე ლიკვიდობის დასაფინანსებლად სსს „ბანკ ვეტებედან“ მოზიდული რესურსების მოცულობამ შეადგინა 260,9 მლნ. ლარი, რომლის დაფარვის ვადები მერყეობდა 2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მარტამდე და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 1.1%-იდან 3.73%-მდე.
- სხვა ნასესხები სახსრების მოცულობამ, რომლებიც მიღებულია ძირითადი საქმიანობის მიზნებისთვის და ჯგუფის კლიენტების საქმიანობის დაფინანსებისათვის, შეადგინა 79,0 მლნ. ლარი, რომელთა დაფარვის ვადები მერყეობდა 2017 წლის თებერვლიდან 2021 წლის დეკემბრამდე და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 2.07%-დან 6.28% მდე.

გარდა ამისა, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ დედა კომპანიისგან მიღებული აქვს ორი ვადიანი სუბორდინირებული სესხი 37,8 მლნ. ლარის ოდენობით და ერთი უვადო სუბორდინირებულ სესხი 12,9 მლნ. ლარის ოდენობით. კერძოდ:

- 2005 წლის 25 ოქტომბერს ბანკმა დედა ბანკთან დადო სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება 12,0 მლნ. აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა ლიბორის ინდექსს +6%-ით, პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად. სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 ოქტომბრამდე.
- 2014 წლის 13 ოქტომბერს ბანკმა დედა ბანკთან დადო ხელშეკრულება 126,4 მლნ. რუსული რუბლის საერთო ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 11%-ით, პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად. სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 13 ოქტომბრამდე.
- 2016 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 300,0 მლნ. რუბლის უვადო სუბორდინირებული სესხი. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული. კუპონის განაკვეთი შედგება რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს + 2.5%-ისგან. ბანკს უპირობო უფლება აქვს, სურვილისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე სესხის გამცემისთვის შეტყობინების გაგზავნით.

10. ემიტენტის საქმიანობის ზედამხედველობა და მისი გავლენები

- 10.1. საქართველოს ეროვნული ბანკი არის ქართული საფინანსო სექტორის (დაზღვევის გარდა) მარეგულირებელი ორგანო. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია ბანკების, ლიცენზირებაზე საქართველოში, ასევე უფლებამოსილია გამოუმვას და გააუქმოს ლიცენზიები, დააწესოს შეზღუდვები და სანქციები, ასევე ბანკებს დაუწესოს სხვადასხვა დროებითი რეჟიმი ადმინისტრაციული, ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის პრობლემების დროს.
- 10.2. ეროვნული ბანკი არეგულირებს ფინანსურ ინსტიტუტებს რისკის ზედამხედველობის პრინციპების მიხედვით და ახორციელებს საბანკო ზედამხედველობას სპეციალიზებული ფუნქციური ერთეულებით. ეროვნული ბანკი თანდათანობით ახორციელებს რეფორმებს, რათა შექმნას უფრო განვითარებული რისკზე დაფუძნებული მიდგომა ზედამხედველობის მიმართ და შემდგომში გააუმჯობესოს მისი რეგულაციები ევროპის შესაბამისი დირექტივებისა და ბაზელის II / III პრინციპების შესაბამისად. წინამდებარე რისკების მართვის მეთვალყურეობის რეჟიმი იყო აღიარებული ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამაში, რომელიც ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ 2014 წელს, როგორც კონსერვატიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს ადრეულ ეტაპზე არსებულ მოწყვლადობის გამოვლენას და ეფექტიანად და ეფექტურ ზედამხედველობას.
- 10.3. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები:

2013 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნებული ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #100/04 არის ბაზელ II/III-ის ლოკალური ვერსია. 2014 წლის ივლისიდან კომერციული ბანკებისთვის სავალდებულო გახდა დაეცვათ ბრძანება #100/04-ით დაწესებული მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები. კომერციული ბანკი ვალდებულია, ჰქონდეს საკუთარი სახსრების ის ოდენობა, რომელიც ყოველთვის მეტი ან ტოლი იქნება კაპიტალის შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებზე:

- ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – კომერციული ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 7%-ზე მეტი ან ტოლი.
- ბ) პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – კომერციული ბანკის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 8.5%-ზე მეტი ან ტოლი.
- გ) საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი – კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებთან, უნდა იყოს 10.5%-ზე მეტი ან ტოლი.

ამჟამად ახალი კომერციული ბანკის გახსნისათვის საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობად დადგენილია 50 მლნ. ლარი.

2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით ვითიზი ბანკის საწესდებო კაპიტალი 191,292,701 ლარია, ხოლო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მოცულობის შესაბამისად, ბაზელი III -ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ოდენობაა 161,432,254 ლარი.

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად დააწესოს კაპიტალის ბუფერი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად დასაცავია აგრეთვე შემდეგი ნორმატივები:

- ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი - ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5 პროცენტს.
- (ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი – ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს.
- ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი – ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15 პროცენტს.
- ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი – ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს.
- მსხვილი სესხების კოეფიციენტი – ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას.
- საბლანკო სესხების კოეფიციენტი – ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25 პროცენტს.
- საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი – საანგარიშგებო თვის საშუალო ლიკვიდური აქტივები უნდა იყოს საანგარიშგებო თვის საშუალო ვალდებულებების არანაკლებ 30 პროცენტისა. სადაც ლიკვიდურ აქტივებს იმავე ვალუტაში, არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტებში ხვედრითი წილის პროპორციულად, აკლდება არარეზიდენტი კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების $X = \max[(A - 10\%), 0]$ პროცენტი, სადაც A არის არარეზიდენტი კლიენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების პროცენტული წილი კლიენტების მთლიან დეპოზიტებში. არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილის გაანგარიშებაში არ გაითვალისწინება დაჯავშნული დეპოზიტები.
- წილობრივი ინვესტიციების კოეფიციენტი – იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს.
- ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი – ბანკის ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება იურიდიულ პირთა კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70 პროცენტს.
- კრეზითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია) - ბანკის კრეზითი საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს.

10.4. რეზერვების შექმნა

ბანკები ვალდებული არიან დააწესონ ადეკვატური რეზერვის ნორმა სესხებისა და სხვა რისკის შემცველი აქტივების პოტენციური დანაკარგების დასაფარად. ეროვნული ბანკი აქვეყნებს ამ ინფორმაციას ყოველთვიურად. კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და

დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის შესაბამისად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 17 ივნისს ბრძანება #51/04-ზე დაყრდნობით სესხები კლასიფიცირდება 5 ჯგუფად რისკიანობის მიხედვით და ხასიათდება განსხვავებული სარეზერვო მოთხოვნებით: „სტანდარტული“, „საყურადღებო“, „არასტანდარტული“, „საეჭვო“ და „უიმედო“.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია დარეზერვების შემდეგი ნორმები: სტანდარტული სესხებისთვის - 2%, საყურადღებო სესხებისთვის - 10%, არასტანდარტული სესხებისთვის - 30%, საეჭვო სესხებისთვის - 50% და უიმედო სესხებისთვის - 100%.

10.5. სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები

ეროვნული ბანკის შესახებ კანონის თანახმად, ეროვნული ბანკი ადგენს ბანკებისთვის სარეზერვო მოთხოვნებს და მას შეუძლია დააწესოს ჯარიმა ბანკისთვის, რომელიც არ შეასრულებს ამ სარეზერვო მოთხოვნებს.

ეს მოთხოვნები განისაზღვრება ცალ-ცალკე ლარისა და უცხოური ვალუტების მიხედვით. ამჟამად მოქმედი წესით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა ლარში მოზიდული სახსრებისთვის არის 7%, ხოლო უცხოური ვალუტაში სახსრებისთვის - 20% (365-დან 730 დღემდე ვადიანობის ბანკებიდან მოზიდული სახსრებისათვის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები განისაზღვრება 10% -ით, 730 დღის ზევით 0%-ით). მოთხოვნები არ განსხვავდება რეზიდენტი და არარეზიდენტი პირებისთვის. შესაბამისი რეზერვების გაანგარიშებაში არ შედის ეროვნული ბანკისა და რეზიდენტი კომერციული ბანკებისგან (ან ეკვივალენტური ფონდებიდან) მოზიდული თანხები და სხვადასხვა ვალდებულებებიდან შემოსული კაპიტალის სახსრები.

10.6. ანგარიშების მოთხოვნები

ყველა ბანკი ექვემდებარება შემოწმებას ეროვნული ბანკის მიერ. ინსპექტორებმა შეიძლება შეისწავლონ ბანკების და მათი შვილობილი კომპანიების ანგარიშები, დოკუმენტები და სხვა ჩანაწერები მათ ასევე შეიძლება თანამშრომლებს მოთხოვონ დამატებით ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია.

ბანკები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ და წარუდგინონ მარეგულირებელს აუდირებული, საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული წლიური ანგარიშგება. ბანკები ასევე ვალდებული არიან მარეგულირებელს წარუდგინონ დადგენილი ფორმატის სხვადასხვა ფინანსური ანგარიშგებები.

10.7. დეპოზიტების დაზღვევა

ჯერ-ჯერობით საქართველოში დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სქემა არ მოქმედებს. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა უკვე განიხილება საქართველოს პარლამენტში.

10.8. ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა

ბანკის მნიშვნელოვანი წილის [კომერციული ბანკის განცხადებული თუ განადგეული საწესდებო კაპიტალის წილის 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირი ფლობს საწესდებო კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით] შექმნაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი, კანონმდებლობით განსაზღვრულია რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომელსაც სურს შეიძინოს ბანკის მნიშვნელოვანი წილი, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს შემქმნის მიმართვას რომ გახდეს მნიშვნელოვანი წილის მფლობელი და აძლევს თანხმობას ან აცხადებს დასაბუთებულ უარს.

10.9. ბანკის ადმინისტრატორების შესაფერისობის კრიტერიუმები

მნიშვნელოვანი წილის მფლობელთან პარალელურად კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ბანკის ადმინისტრატორი [კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან ერთ ანდა ერთზე მეტ პირთან ერთად ბანკის სახელით აიღოს ვალდებულებები].

10.10. გადახდისუნარობის რეჟიმი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ბაზარზე ოპერირებს 1995 წლიდან ამ ხნის განმავლობაში არ დამდგარა ბანკის დეფოლტის [ბანკის გადახდისუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადება] საფრთხე. აღნიშნული დეფოლტის თეორიული დაშვების შემთხვევაშიც პროცესი რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ „კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრულია ყველა პროცედურული საკითხი, რომელიც შეიძლება თან ახლდეს ლიკვიდაციის პროცესს და უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ინტერესების დაცვას.

10.11. რეგულაციების გავლენა

მარეგულირებელმა კოეფიციენტებმა შეიძლება შეაფერხონ ბანკის ზრდა. საქართველოს ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკების კაპიტალის ადეკვატურობისა და სხვა კოეფიციენტების დაცვას. კაპიტალის ადეკვატურობისადმი მოთხოვნები პერიოდულად იცვლება სისტემის წინაშე არსებული ახალი გამოწვევების გამო და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

ვითიბი ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის დონეზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს :

- რისკის მიხედვით შეწონილმა აქტივებმა.
- ბანკის უნარმა გაზარდოს კაპიტალი.
- ბანკის აქტივების ხარისხის გაუარესების შედეგად მიღებულმა ზარალმა, შემოსავლის დონის შემცირებამ, ხარჯების ზრდამ ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილის ერთობლიობამ.

- ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელის ღირებულების შემცირებამ.
- ფინანსური აღრიცხვის წესის ან კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების დაანგარიშების წესის ცვლილებამ.
- ეროვნული ბანკის მიერ დაკისრებული მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების ზრდამ.

ამჟამად, ვითიბი ბანკმა უნდა შეასრულოს კაპიტალის ადეკვატურობის ორი მარეგულირებელი მოთხოვნა, დაწესებული ეროვნული ბანკის მიერ, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, რომელიც დადგენილია ბანკების ზედამხედველობის შესახებ ბაზელის კომიტეტის მიერ. ბაზელ II/III სტრუქტურა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა წარადგინა 2013 წელს, ანაცვლებს ეროვნული ბანკის ბაზელ I-ზე დაფუძნებულ მოთხოვნებს, რომლებიც ეტაპობრივად უქმდება და 2017 წლის ბოლოსთვის პროცესი მთლიანად დასრულდება.

ეროვნული ბანკის ბაზელ II/III-ის მოთხოვნების ვერსია უფრო კონსერვატიულია ვიდრე ორიგინალი. მთავარი განსხვავება არის უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხების დამატებით 75% -იანი რისკით შეფასება. ეროვნული ბანკის ვერსიით, ვითიბი ბანკის პირველადი კაპიტალის კოეფიციენტები რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მიმართ და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მიმართ 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით იყო 10.49% და 12.61%, რაც აჭარბებს ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილ მინიმალურ დონეს, რომელიც იყო 8,5% და 10,5%.

მინიმალური მოთხოვნების გარდა, ეროვნულ ბანკს ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერის დაწესების უფლება აქვს. თუ ეროვნული ბანკი დაადგენდა კაპიტალის ბუფერს ან სხვა მოთხოვნებს, ვითიბი ბანკს შეიძლება ვერ შეენარჩუნებინა კაპიტალზე უკუგების იგივე ნორმა.

ვითიბი ბანკის ძირითად აქციონერს შეუძლია კაპიტალის გაზრდა საშუალო გრძელვადიან პერსპექტივაში. ვითიბი ბანკის უნარი, გაზარდოს კაპიტალი, შეიძლება შეზღუდული იყოს რუსეთის და შესაბამისად ძირითადი აქციონერის საერთო ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობით. არ არის გამორიცხული საგარეო პოლიტიკური ფაქტორიც. ამ შემთხვევაში შეფერხდება ბანკის განვითარება და ზრდა, შეიძლება საფრთხის წინაშე დადგეს მისი ფუნქციონირებაც კი.

ვითიბი ბანკის მდგრადობაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოს საბანკო სისტემის რამდენიმე ან თუნდაც ერთი სისტემშემქმნელი ბანკის გადახდის უუნარობამ, რაც გამოიწვევს ლიკვიდობის პრობლემას სისტემაში.

ცვლილებები საბანკო რეგულაციებში ძნელად პროგნოზირებადია. ვითიბი ბანკის საბანკო ოპერაციები საქართველოში უნდა შეესაბამებოდეს ქართულ საბანკო რეგულაციებს. საქართველოში არსებული ბანკებისათვის, გარდა სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებისა, ეროვნული ბანკი აწესებს დაკრედიტების ზღვარს და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს, მათ შორის: დაკრედიტების კოეფიციენტები, ლიკვიდობის კოეფიციენტები და ინვესტიციების კოეფიციენტები. საქართველოს საბანკო რეგულაციების მიხედვით, ვითიბი ბანკი ვალდებულია, სხვა დანარჩენთან

ერთად, შეასრულოს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და აუცილებელი ფინანსური კოეფიციენტები და რეგულარულად წარმოადგინოს პერიოდის ანგარიშგებები.

ბოლო წლებში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სხვადასხვა საკანონმდებლო ღონისძიებები, რომელიც მოიცავს აღსრულების ღონისძიებას იმ საკუთრებებთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსურ ოპერაციებში გამოყენებულია უზრუნველყოფად. ეს ზრდის ტრანზაქციულ ხარჯებს.

ამრიგად, საქართველოში არსებობს გარკვეული ბიზნეს-ქცევის წესები ბანკებისათვის და სწრაფვა რეგულაციების დახვეწისა და აღსრულებაში ბიუროკრატიზმის დაძლევისათვის, - ეს ქმნის პოზიტიურ მოლოდინებს საბანკო სექტორის განვითარებაში.

11. ზოგადი ფინანსური მაჩვენებლები

11.1 კაპიტალიზაცია და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ვალდებულებებსა და კაპიტალიზაციას 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით, არააუდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად IFRS -ის სტანდარტით, ათას ლარში:

ვალდებულებები	2017 წლის 31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	260,719
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	826,159
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	23,523
სხვა ნასესხები სახსრები	117,011
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,363
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	
სხვა ვალდებულებები	15,434
სუბორდინირებული სესხი	35,355
სულ ვალდებულებები	1,279,565
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	191,293
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	3,146
უვადო სუბორდინირებული სესხი	13,027
არარეალიზებული მოგება/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	186
აკუმულირებული ზარალი	(3,457)
სულ კაპიტალი	204,194
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,483,759

მოცემული ცხრილი კი გვაჩვენებს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს ბაზელი1-ით ბანკების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტებთან შედარებით ბანკის ადეკვატურობის კოეფიციენტები დაბალია, ვითიბი ბანკი წარმოადგენს დიდი საერთაშორისო ჯგუფის წევრს და საჭიროების შემთხვევაში დედა კომპანია დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს დამატებითი კაპიტალის ემისიას.

31/03/2017	BOG	TBC	Liberty Bank	VTB	Cartu Bank	Basisbank
CAPITAL RATIOS (per Basel I)						
Tier 1 Capital Ratio	9.47%	14.04%	15.25%	9.61%	14.43%	17.14%
Regulatory Capital Ratio	15.25%	15.09%	23.99%	13.39%	28.33%	18.73%
Tier 1 Capital	851,213	1,287,160	141,615	137,960	188,039	155,899
Regulatory Capital	1,370,465	1,384,259	222,696	192,180	369,155	170,293
Risk Weighted Assets/Total Assets	91.59%	103.04%	57.53%	98.39%	110.50%	100.41%
Total Assets	9,811,766	8,899,743	1,613,923	1,458,621	1,179,169	905,578

In Thousands of GEL

31/12/2016	BOG	TBC	Bank Republic	Liberty Bank	VTB	Cartu Bank	Basisbank
CAPITAL RATIOS							
Tier 1 Capital Ratio ≥ 7.2%	7.23%	10.90%	7.83%	12.36%	8.84%	9.63%	15.35%
Regulatory Capital Ratio ≥ 10.8%	13.54%	14.15%	12.31%	18.65%	10.89%	18.80%	18.27%
Tier 1 Capital	676,692	1,024,627	188,506	142,164	150,566	148,353	137,569
Regulatory Capital	1,267,573	1,329,677	296,548	214,439	185,388	289,784	163,770
Risk Weighted Assets	9,360,857	9,400,245	2,408,484	1,149,962	1,703,103	1,541,037	896,316
Risk Weighted Assets/Total Assets	92.80%	104.00%	118.24%	69.75%	111.1%	116.55%	96.86%
Total Assets	10,086,751	9,038,587	2,036,992	1,648,775	1,532,762	1,322,189	925,378

11.2 შერჩეული კონსოლიდირებული ფინანსური და საოპერაციო ინფორმაცია

ამ სექციაში ნაჩვენებია ცხრილები წარმოადგენს ბანკის კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციას 2017 წლის 31 მარტისა და 31 დეკემბრით დასრულებული 2016, 2015 და 2014 წლისათვის, რომელიც შედგენილია ნაწილობრივ აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ნაწილობრივ არააუდირებული შიდა ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

ოპერაციების კონსოლიდირებული შედეგები

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		
	2017	2016	2016	2015	2014
	არააუდირებული		აუდირებული		
			ათას ლარში		
პროცენტული შემოსავალი	30,120	28,364	116,816	100,898	83,715
პროცენტული ხარჯი	(14,036)	(13,491)	(53,577)	(45,451)	(36,537)
წმინდა პროცენტული შემოსავალი	16,084	14,873	63,239	55,447	47,178
საკომისიო შემოსავალი	3,776	3,272	14,256	12,928	13,010
საკომისიო ხარჯი	(2,224)	(2,179)	(9,131)	(7,908)	(4,814)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	1,552	1,093	5,125	5,020	8,196
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	4,357	4,156	7,687	3,727	922
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	418	(2,420)	(3,649)	1,474	4,813
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,141	1,963	10,808	9,415	7,395
წმინდა არაპროცენტული შემოსავალი	7,916	3,699	14,846	14,616	13,130
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(1,451)	(515)	(660)	(5,992)	2,051
ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(73)	(757)	-	-	-
მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(1,524)	(1,272)	(660)	(5,992)	2,051
საოპერაციო მოგება დარეზერვების შემდეგ	24,028	18,392	82,550	69,091	70,555
პერსონალის ხარჯი	(9,265)	(8,569)	(36,751)	(33,159)	(30,463)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(1,232)	(1,076)	(3,726)	(3,351)	(3,154)
სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული ხარჯი	(3,058)	(2,691)	(14,920)	(15,266)	(13,269)
არასაპროცენტო ხარჯი	(13,555)	(12,337)	(55,397)	(51,776)	(46,886)
მოგება გადასახადებამდე	10,473	6,055	27,153	17,315	23,669
მოგების გადასახადი	(1,334)	(584)	291	(2,335)	(1,936)
მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ	9,139	5,471	27,444	14,980	21,733
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
წმინდა მოგება	9,139	5,471	27,444	14,980	21,733

11.3 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული განცხადება

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს აქტივების, ვალდებულებების და სააქციო კაპიტალის ინფორმაციას მითითებულ თარიღებზე.

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		
	2017	2016	2016	2015	2014
აქტივები	ათას ლარში				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	434,190	387,870	316,336	267,776	212,621
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	3,421	1,720	142,175	85,235	63,960
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	863,312	789,448	933,764	746,392	611,020
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	111,461	70,352	80,513	55,587	73,880
მირითადი საშუალებები	42,435	37,871	35,434	36,185	33,142
საინვესტიციო ქონება	21,423	27,056	20,336	26,678	24,352
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები			-	104	87
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	1,327		1,219	-	1,085
სხვა აქტივები	6,191	7,193	16,237	6,092	6,122
სულ აქტივები	1,483,759	1,321,509	1,546,014	1,224,049	1,026,269
ვალდებულებები					
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	260,719	270,438	286,175	225,012	56,758
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	826,159	762,663	831,274	669,605	704,718
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23,523	11,344	31,690	5,242	-
სხვა ნასესხები სახსრები	117,011	59,766	139,022	114,735	100,897
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,363	193	1,940	-	-
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		1,861	-	1,574	-
სხვა ვალდებულებები	15,434	14,562	21,726	13,040	11,713
სუბორდინირებული სესხი	35,355	33,302	37,759	33,329	26,879
სულ ვალდებულებები	1,279,565	1,154,130	1,349,586	1,062,537	900,965
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	191,293	191,293	191,293	191,293	171,293
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	3,146	2,744	3,160	2,758	943
უვადო სუბორდინირებული სესხი	13,027	-	12,900	-	-
არარეალიზებული მოგება/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	186	(210)	1,550	(607)	-
აკუმულირებული ზარალი	(3,457)	(26,448)	(12,475)	(31,932)	(46,932)
სულ კაპიტალი	204,194	167,379	196,428	161,512	125,304
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,483,759	1,321,509	1,546,014	1,224,049	1,026,269

11.4 შერჩეული ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს სს „ვითიბიბანკ ჯორჯიას“ შერჩეულ ფინანსურ კოეფიციენტებს და ბანკის პირველადი და მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები მითითებული პერიოდისთვის.

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		
	2017	2016	2016	2015	2014
	არააუდირებული				
მოგების კოეფიციენტები:					
ROAA(1)	2.45%	1.73%	2.03%	1.30%	2.36%
ROAE(2)	18.50%	13.38%	15.88%	10.99%	19.60%
პროცენტული შემოსავალი საშუალო შემოსავლის მომტან აქტივებთან	9.6%	10.7%	10.6%	10.6%	11.1%
პროცენტული ხარჯი საშუალო ხარჯიან ვალდებულებებთან(3)	4.33%	4.94%	4.61%	4.54%	4.60%
NIM(4)	5.2%	5.6%	5.7%	5.8%	6.3%
Spread(5)	5.3%	5.8%	5.9%	6.1%	6.5%
სესხის განაკვეთი(6)	11.8%	13.0%	12.0%	12.9%	13.9%
მოზიდვების განაკვეთი(7)	4.94%	5.81%	4.79%	4.47%	4.05%
წმინდა საკომისიო შემოსავალი მთლიან საოპერაციო მოგებასთან	6.1%	5.6%	6.2%	6.7%	12.4%
ეფექტურობის კოეფიციენტი:					
CI R	53.0%	62.7%	65.6%	68.5%	67.4%
მთლიანი საოპერაციო ხარჯი საშუალო აქტივებთან	3.58%	3.87%	4.00%	4.43%	4.85%
ლიკვიდურობის კოეფიციენტები:					
წმინდა საკრედიტო დაბანდება დეპოზიტებთან	102%	102%	112%	111%	87%
ლიკვიდური აქტივები მთლიან აქტივებთან	28.3%	28.1%	31.1%	25.2%	33.7%
აქტივების ხარისხის კოეფიციენტი:					
CoR	0.63%	0.26%	0.07%	0.72%	-0.34%
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები:					
Basel I პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	9.61%	9.81%	7.64%	9.96%	8.50%
Basel I საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	13.39%	12.61%	11.69%	13.31%	13.79%
Basel II/III პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	10.49%	9.64%	8.84%	10.13%	9.70%
Basel II/III საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	12.61%	12.19%	10.89%	12.83%	12.90%

შენიშვნა:

- (1) უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე არის განსაზღვრულ პერიოდში ოპერაციებიდან მოგების შეფარდება პერიოდის საშუალო აქტივებთან.
- (2) უკუგების კოეფიციენტი საშუალო კაპიტალზე არის განსაზღვრულ პერიოდში ოპერაციებიდან მოგების შეფარდება პერიოდის საშუალო კაპიტალზე.
- (3) პროცენტული ხარჯი საშუალო ხარჯიან ვალდებულებებთან უდრის პროცენტული ხარჯის შეფარდებას ხარჯის შემცველი ვალდებულებებთან შესაბამის პერიოდში. ხარჯის შემცველი ვალდებულებები მოიცავს საკრედიტო ინსტიტუტებისა და კლიენტების დეპოზიტებს.
- (4) წმინდა პროცენტული მარჟა არის წმინდა პროცენტული შემოსავალი შეფარდებული შემოსავლის მომტან საშუალო აქტივებთან მოცემულ პერიოდში.
- (5) წმინდა პროცენტული სპრედი არის განთავსების ფასსა და სახსრების ღირებულებას შორის სხვაობა.

(6) სესხების განაკვეთი უდრის სესხებიდან მიღებული პროცენტული შემოსავლის შეფარდებას იმავე პერიოდში საშუალო მთლიან საკრედიტო პორტფელთან.

(7) მოზიდვების განაკვეთი უდრის განსაზღვრულ პერიოდში მთლიანი პროცენტული ხარჯის შეფარდება საშუალო დეპოზიტებთან იმავე პერიოდში.

11.5 2017 და 2016 წლის 31 მარტით დასრულებული 3 თვის ფინანსური მაჩვენებლები ბალანსი:

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		სხვაობა
	2017	2016	
აქტივები	ათას ლარში		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	434,190	387,870	46,320
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	3,421	1,720	1,701
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	863,312	789,448	73,864
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	111,461	70,352	41,109
ძირითადი საშუალებები	42,435	37,871	4,564
საინვესტიციო ქონება	21,423	27,056	(5,633)
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები			-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	1,327		1,327
სხვა აქტივები	6,191	7,193	(1,001)
სულ აქტივები	1,483,759	1,321,509	162,251
ვალდებულებები			
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	260,719	270,438	(9,719)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	826,159	762,663	63,495
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	23,523	11,344	12,179
სხვა ნასესხები სახსრები	117,011	59,766	57,245

მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,363	193	1,170
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები		1,861	(1,861)
სხვა ვალდებულებები	15,434	14,562	873
სუბორდინირებული სესხი	<u>35,355</u>	<u>33,302</u>	<u>2,053</u>
სულ ვალდებულებები	1,279,565	1,154,130	125,435
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	191,293	191,293	-
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	3,146	2,744	402
უვადო სუბორდინირებული სესხი	13,027	-	13,027
არარეალიზებული მოგება/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	186	(210)	396
აკუმულირებული ზარალი	(3,457)	(26,448)	22,991
სულ კაპიტალი	204,194	167,379	36,815
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,483,759	1,321,509	162,251

11.6 აქტივები

2017 წლის 3 თვის მდგომარეობით აქტივების მოცულობის მიხედვით ბანკმა 12.3%-ით გადააჭარბა 2016 წლის 3 თვის მაჩვენებელს, მათ შორის:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები ბანკების მიმართ გაიზარდა 12.3 %-ით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები გაიზარდა 9.4%-ით. საკრედიტო პორტფელი გაიზარდა ყველა არსებული ბიზნეს მიმართულებების მიხედვით. მათ შორის ფიზიკურ პირებზე გაცემული მთლიანი სესხების მოცულობა გაიზარდა 20.3 %-ით, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული მთლიანი სესხების მოცულობა 0.9 %-ით.

გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი გაიზარდა 58,4%-ით.

11.7 ვალდებულებები

სულ ვალდებულებები გაიზარდა 10.9%-ით. მათ შორის:

ნასესხები სახსრები და ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ გაიზარდა 14.4%-ით.

ვალდებულებები კლიენტების წინაშე გაიზარდა 8.3%-ით. მათ შორის ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები გაიზარდა 16.3 %-ით, ხოლო იურიდიული პირების სახსრები 3.7 %-ით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაიზარდა 107.4%-ით. 2015 წლის ივლისიდან ბანკმა დაიწყო სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება.

11.18 კაპიტალი

ბანკის კაპიტალი გაიზარდა 22.0%-ით. მათ შორის:

ბანკის საწესდებო კაპიტალს 2016 წლის 31 მარტიდან 2017 წლის 31 მარტამდე ცვლილება არ განუცდია.

უვადო სუბორდინირებული სესხი

2016 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 300,0 მლნ. რუბლის უვადო სუბორდინირებული სესხი. 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით უვადო სუბორდინირებული სესხის საბალანსო ღირებულებაა 13,0 მლნ. ლარი. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ჯგუფს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. ჯგუფს უპირობო უფლება აქვს, სურვილისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე სესხის გამცემისთვის შეტყობინების გაგზავნით.

კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მოგება-ზარალის არააუდირებული კონსოლიდირებული 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემები IFRS -ის სტანდარტით.

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		სხვაობა (%)
	2017	2016	
	არააუდირებული		
	ათას ლარში		
პროცენტული შემოსავალი	30,120	28,364	6.2%
პროცენტული ხარჯი	(14,036)	(13,491)	4.0%
წმინდა პროცენტული შემოსავალი	16,084	14,873	8.1%
საკომისიო შემოსავალი	3,776	3,272	15.4%
საკომისიო ხარჯი	(2,224)	(2,179)	2.1%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	1,552	1,093	42.0%
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	4,357	4,156	4.8%
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	418	(2,420)	-117.3%
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,141	1,963	60.0%
წმინდა არაპროცენტული შემოსავალი	7,916	3,699	114.0%
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(1,451)	(515)	181.7%
ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(73)	(757)	-90.4%
მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(1,524)	(1,272)	19.8%
საოპერაციო მოგება დარეზერვების შემდეგ	24,028	18,392	30.6%
პერსონალის ხარჯი	(9,265)	(8,569)	8.1%
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(1,232)	(1,076)	14.4%
სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული ხარჯი	(3,058)	(2,691)	13.6%
არასაპროცენტო ხარჯი	(13,555)	(12,337)	9.9%
მოგება გადასახადებამდე	10,473	6,055	73.0%
მოგების გადასახადი	(1,334)	(584)	128.4%
მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ	9,139	5,471	67.0%
სხვა სრული შემოსავალი	-	-	
წმინდა მოგება	9,139	5,471	67.0%

11. 8 მოგების კოეფიციენტების ანალიზი 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მოგების კოეფიციენტები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი	
	2017	2016
	არააუდირებული	
მოგების კოეფიციენტები:		
ROAA(1)	2.45%	1.73%
ROAE(2)	18.50%	13.38%
პროცენტული შემოსავალი საშუალო შემოსავლის მომტან აქტივებთან	9.6%	10.7%
პროცენტული ხარჯი საშუალო ხარჯიან ვალდებულებებთან(3)	4.33%	4.94%
NIM(4)	5.2%	5.6%
Spread(5)	5.3%	5.8%
სესხის განაკვეთი(6)	11.8%	13.0%
მოზიდვების განაკვეთი(7)	4.94%	5.81%
წმინდა საკომისიო შემოსავალი მთლიან საოპერაციო მოგებასთან	6.1%	5.6%

შენიშვნა:

- (1) უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე არის განსაზღვრულ პერიოდში ოპერაციებიდან მოგების შეფარდება პერიოდის საშუალო აქტივებთან.
- (2) უკუგების კოეფიციენტი საშუალო კაპიტალზე არის განსაზღვრულ პერიოდში ოპერაციებიდან მოგების შეფარდება პერიოდის საშუალო კაპიტალზე.
- (3) პროცენტული ხარჯი საშუალო ხარჯიან ვალდებულებებთან უდრის პროცენტული ხარჯის შეფარდებას ხარჯის შემცველი ვალდებულებებთან შესაბამის პერიოდში. ხარჯის შემცველი ვალდებულებები მოიცავს საკრედიტო ინსტიტუტებისა და კლიენტების დეპოზიტებს.
- (4) წმინდა პროცენტული მარჟა არის წმინდა პროცენტული შემოსავალი შეფარდებული შემოსავლის მომტან საშუალო აქტივებთან მოცემულ პერიოდში.
- (5) წმინდა პროცენტული სპრედი არის განთავსების ფასსა და სახსრების ღირებულებას შორის სხვაობა.
- (6) სესხების განაკვეთი უდრის სესხებიდან მიღებული პროცენტული შემოსავლის შეფარდებას იმავე პერიოდში საშუალო მთლიან საკრედიტო პორტფელთან.
- (7) მოზიდვების განაკვეთი უდრის განსაზღვრულ პერიოდში მთლიანი პროცენტული ხარჯის შეფარდება საშუალო დეპოზიტებთან იმავე პერიოდში.

11.9 საპროცენტო შემოსავალი

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საპროცენტო შემოსავლები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		ცვლილება
	2017	2016	%
	არააუდირებული		
	ათას ლარში		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	27,370	25,809	6.0%
გასაყიდად გამიზნული ფასიანი ქაღალდები	1,559	1,469	6.1%
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	<u>1,191</u>	<u>1,086</u>	<u>9.7%</u>
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	<u>30,120</u>	<u>28,364</u>	<u>6.2%</u>

მთლიანი საპროცენტო შემოსავალი 2016 წლის 31 მარტს იყო 28,4 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 30,1 მლნ. ლარი, რაც მეტია 1,8 მლნ. ლარით, ანუ 6.2%-ით.

ძირითადად მთლიანი საპროცენტო შემოსავლების ზრდა გამოწვეულია კლიენტებზე გაცემული სესხებიდან და ავანსებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალით, რომელიც 2016 წლის 31 მარტს იყო 25,8 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 27,4 მლნ. ლარი, რაც მეტია 1,6 მლნ. ლარით, ანუ 6.0%-ით. კლიენტებზე გაცემული სესხებიდან და ავანსებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი გაიზარდა შესაბამისი საკრედიტო პორტფელის ზრდის შედეგად, რომელიც 2016 წლის 31 მარტს იყო 789,4 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 863,3 მლნ. ლარი, ანუ გაიზარდა 73,9 მლნ. ლარით (9.4%-ით).

გასაყიდად გამიზნულ ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი 2016 წლის 31 მარტს იყო 1,5 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 1,6 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,1 მლნ. ლარით, ანუ 6.1%-ით.

ბანკებისა და საერთაშორისო ინსტიტუტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი 2016 წლის 31 მარტს იყო 1,1 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 1,2 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,1 მლნ. ლარით, ანუ 9.7%-ით.

11.10 საპროცენტო ხარჯი

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საპროცენტო ხარჯები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		ცვლილება
	2017	2016	%
	არააუდირებული		
	ათას ლარში		
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	10,264	10,435	-1.6%
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე	2,661	2,302	15.6%
სუბორდინირებული სესხი	739	631	17.2%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	372	123	201.4%
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	14,036	13,491	4.0%

მთლიანი საპროცენტო ხარჯი 2016 წლის 31 მარტს იყო 13,5 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 14,0 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,5 მლნ. ლარით, ანუ 4.0%-ით. მთლიანი საპროცენტო ხარჯის ზრდა ძირითადად გამოწვეულია გაზრდილი საპროცენტო ხარჯით საკრედიტო ინსტიტუტებზე, გამოშვებული სავალო ფასიან ქაღალდებზე და სუბორდინირებულ სესხებზე.

საპროცენტო ხარჯი ვალდებულებებზე კლიენტების წინაშე 2016 წლის 31 მარტს იყო 10,4 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 10.3 მლნ. ლარი, რაც ნაკლებია 0,2 მლნ. ლარით, ანუ 1.6%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთების შემცირებით.

საპროცენტო ხარჯი ვალდებულებებზე საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე 2016 წლის 31 მარტს იყო 2,3 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 2,7 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,4 მლნ. ლარით, ანუ 15.6%-ით.

საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხზე 2016 წლის 31 მარტს იყო 0,6 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 0,7 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,1 მლნ. ლარით, ანუ 17.2%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებასთან რუსული რუბლისა და აშშ დოლარის მიმართ.

საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე 31 მარტს იყო 0,1 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 0,4 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,3 მლნ. ლარით, ანუ 201.4%-ით.

11.11 საკომისიო შემოსავალი

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საკომისიო შემოსავლები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

	31 მარტით დასრულებული 3		ცვლილება
	2017	2016	%
	არააუდირებული		
	ათას ლარში		
საკომისიო შემოსავალი			
პლასტიკური ბარათების ოპერაციებიდან	1,017	854	19.0%
გარანტიებიდან	792	541	46.4%
გარდარიცხვებიდან	1,318	1,058	24.5%
სალაროს ოპერაციებიდან	537	444	21.0%
აკრედიტივებიდან	35	158	-78.2%
სხვა	77	216	-64.4%
მთლიანი საკომისიო შემოსავალი	3,776	3,272	15.4%

მთლიანი საკომისიო შემოსავალი 2016 წლის 31 მარტს იყო 3,3 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 3,8 მლნ. ლარი, რაც მეტია 0,5 მლნ. ლარით, ანუ 15.4%-ით. მთლიანი საკომისიო შემოსავლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია გაზრდილი საკომისიო შემოსავლებით გადარიცხვებიდან, გარანტიებიდან, პლასტიკური ბარათების ოპერაციებიდან და სალაროს ოპერაციებიდან.

11.12 საკომისიო ხარჯი

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საკომისიო ხარჯები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

	დასრულებული 3		ცვლილება
	2017	2016	%
	არააუდირებული		
	ათას ლარში		
საკომისიო ხარჯი			
პლასტიკური ბარათების ოპერაციებიდან	1,461	1,278	14.4%
გარანტიებიდან	54	51	4.3%
გარდარიცხვებიდან	210	184	14.2%
სალაროს ოპერაციებიდან	480	476	0.7%
აკრედიტივებიდან	13	163	-92.1%
სხვა	6	26	-76.4%
მთლიანი საკომისიო ხარჯი	2,224	2,179	2.1%

მთლიანი საკომისიო ხარჯი 2016 და 2017 წლის 31 მარტს იყო 2,2 მლნ. ლარი, გაიზარდა 2.1%-ით. მთლიანი საკომისიო ხარჯის ზრდა ძირითადად გამოწვეულია გაზრდილი საკომისიო ხარჯით პლასტიკური ბარათების ოპერაციებიდან.

საკომისიო ხარჯით პლასტიკური ბარათების ოპერაციებიდან 2016 წლის 31 მარტს იყო 1,3 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 1,5 მლნ. ლარი, რაც მეტია 1,2 მლნ. ლარით, ანუ 14.4%-ით.

საკომისიო ხარჯით აკრედიტივებთან 2016 წლის 31 მარტს იყო 0,2 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 0,01 მლნ. ლარი, რაც ნაკლებია 0,2 მლნ. ლარით, ანუ 92.1%-ით.

11.13 წმინდა არაპროცენტული შემოსავალი

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს წმინდა არაპროცენტული შემოსავლები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

	31 მარტით დასრულებული		ცვლილება
	2017	2016	%
	არააუდიტირებული ათას ლარში		
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან და გადაფასებიდან	4,775	1,736	175.1%
წმინდა მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან	1,535	156	885.8%
სხვა საოპერაციო შემოსავალი:			
მიღებული ჯარიმები	1,416	1,348	5.0%
გადასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან	158	383	-58.6%
შემოსავლები ლიზინგიდან	51	168	-69.7%
პლასტიკური ბარათების დამზადების ხარჯი	(77)	(12)	529.8%
სხვა დანარჩენი წმინდა შემოსავალი	58	(79)	-173.7%
მთლიანი სხვა წმინდა საოპერაციო შემოსავალი	<u>1,606</u>	<u>1,807</u>	<u>-11.1%</u>
მთლიანი წმინდა არაპროცენტული შემოსავალი	<u>7,916</u>	<u>3,699</u>	<u>114.0%</u>

მთლიანი წმინდა არაპროცენტული შემოსავალი 2016 წლის 31 მარტს იყო 3,7 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 7,9 მლნ. ლარი, რაც მეტია 4,2 მლნ. ლარით, ანუ 114.0%-ით. მთლიანი წმინდა არაპროცენტული შემოსავლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია გაზრდილი მოგება (ზარალით) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან და გადაფასებიდან და წმინდა მოგებით ფინანსური ინსტრუმენტებიდან.

მოგება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან და გადაფასებიდან 2016 წლის 31 მარტს იყო 1,7 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 4,8 მლნ. ლარი, რაც მეტია 3,0 მლნ. ლარით, ანუ 175.1%-ით.

წმინდა მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან 2016 წლის 31 მარტს იყო 0,2 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 1,5 მლნ. ლარი, რაც მეტია 1,4 მლნ. ლარით, ანუ 885.8%-ით.

11.4 ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯები

ცხრილში მოცემულია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯები 31 მარტით დასრულებული 3 თვის მონაცემებით.

ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯი	31 მარტით დასრულებული 3 თვის შედეგი		ცვლილება
	2017	2016	%
	არააუდიტირებული ათას ლარში		
პერსონალის ხარჯი	9,342	8,624	8.3%
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	1,232	1,076	14.4%
იჯარის ხარჯი	833	719	15.8%
ძირითადი საშუალებების შეკეთების ხარჯი	262	305	-14.2%
კომუნალური ხარჯები	321	268	19.8%
საკონსულტაციო-საექსპერტო ხარჯები (მ.შ. აუდიტორული მომსახურება)	260	254	2.4%
მარკეტინგული ხარჯები	599	401	49.4%
დაზღვევის ხარჯები	39	45	-12.6%
ქონების გადასახადი	159	90	76.6%
პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტ კომუნიკაციის და სატელეფონო ხარჯ	467	505	-7.6%
საკანცელარიო ხარჯი	30	27	10.9%
სხვა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები	12	23	-46.4%
სულ ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯები	13,554	12,337	9.9%

მთლიანი ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯები 2016 წლის 31 მარტს იყო 12,3 მლნ. ლარი, 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით კი - 13,6 მლნ. ლარი, რაც მეტია 1,2 მლნ. ლარით, ანუ 9,9%-ით. მთლიანი ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია პერსონალის, მარკეტინგის, ცვეთისა და ამორტიზაციის, იჯარის, ქონების გადასახადისა და კომუნალური ხარჯების გაზრდით.

11.15 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს 2016 წლის საქმიანობის შედეგების ანალიზი ბალანსი:

	31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		
	2016	2015	სხვაობა
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	316,336	267,776	48,560
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	142,175	85,235	56,940
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	933,764	746,392	187,372
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	80,513	55,587	24,926
ძირითადი საშუალებები	35,434	36,185	(751)
საინვესტიციო ქონება	20,336	26,678	(6,342)
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	-	104	(104)
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	1,219	-	1,219
სხვა აქტივები	16,237	6,092	10,145
სულ აქტივები	1,546,014	1,224,049	321,965
ვალდებულებები			

ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	286,175	225,012	61,163
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	831,274	669,605	161,669
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	31,690	5,242	26,448
სხვა ნასესხები სახსრები	139,022	114,735	24,287
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	1,940	-	1,940
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	1,574	(1,574)
სხვა ვალდებულებები	21,726	13,040	8,686
სუბორდინირებული სესხი	37,759	33,329	4,430
სულ ვალდებულებები	1,349,586	1,062,537	287,049
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	191,293	191,293	-
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	3,160	2,758	402
უვადო სუბორდინირებული სესხი	12,900	-	12,900
არარეალიზებული მოგება/(ზარალი) გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	1,550	(607)	2,157
აკუმულირებული ზარალი	(12,475)	(31,932)	19,457
სულ კაპიტალი	196,428	161,512	34,916
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,546,014	1,224,049	321,965

11.16 აქტივები

2016 წლის ბოლოს აქტივების მოცულობის მიხედვით ბანკმა 26.3%-ით გადააჭარბა 2015 წლის მაჩვენებელს, მათ შორის:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გაიზარდა 18.1 %-ით. 2016 წლისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები იყო მაღალი და სტანდარტული საკრედიტო ხარისხისა და არ იყო ვადაგადაცილებული, ინდივიდუალურად გაუფასურებული ან რესტრუქტურირებული.

მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, გაიზარდა 66.8 %-ით. საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მქონე დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები გაიზარდა 25.1%-ით. საკრედიტო პორტფელი გაიზარდა ყველა არსებული ბიზნეს მიმართულებების მიხედვით. მათ შორის ფიზიკურ პირებზე გაცემული

მთლიანი სესხების მოცულობა გაიზარდა 21.9 %-ით, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული მთლიანი სესხების მოცულობა 24.4 %-ით.

გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი გაიზარდა 44,8%-ით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფასიან ქაღალდებს 68,5 მლნ. ლარის საერთო საბალანსო ღირებულებით (2015 წ.: 8,7 მლნ. ლარი), საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიან ქაღალდებს 12,0 მლნ. ლარის საერთო საბალანსო ღირებულებით (2015 წ.: 46,9 მლნ. ლარი) და კომუნალური გადახდების კლირინგით დაკავებული ერთი ქართული კომპანიის კორპორატიულ აქციებს 54 ათ.ლარის საერთო საბალანსო ღირებულებით (2015 წ.: 54 ათ.ლარი).

11.17 ვალდებულებები

სულ ვალდებულებები გაიზარდა 27.0%-ით. მათ შორის:

ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ გაიზარდა 27.2%-ით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა ბანკისგან მოზიდული სახსრების დაფარვის ვადები მერყეობდა 2017 წლის იანვრიდან 2019 წლის მარტამდე (2015 წ.: 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის აგვისტომდე) და ერიცხებოდა წლიური საპროცენტო განაკვეთი 1.1%-იდან 3.73%-მდე (2015 წ.: 1%-დან 6.23%-მდე).

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადიან ანაბრებსა და სესხებს ვადა ეწურებოდათ 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის ივნისამდე (2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვადიანი ანაბრები და სესხები შედგებოდა ერთი ვადიანი ანაბრისგან, რომელსაც ვადა 2016 წლის იანვარში ეწურებოდა), ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 0%-დან 7%-მდე იყო (2015 წ.: 1.9%-დან 3.50%-მდე).

ვალდებულებები კლიენტების წინაშე გაიზარდა 24.1%-ით. მათ შორის ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები გაიზარდა 16.7 %-ით, ხოლო იურიდიული პირების სახსრები 29.1 %-ით.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაიზარდა 504.5%-ით. 2015 წლის ივლისიდან ბანკმა დაიწყო სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალო ფასიანი ქაღალდები შედგებოდა 26,0 მლნ. ლარის ოდენობის დისკონტირებული სადეპოზიტო სერტიფიკატებისგან, რომელთა ვადაც 2017 წლის 9 იანვრიდან 2021 წლის 15 ივნისამდე მერყეობდა (2015 წ.: 4,2 მლნ. ლარი, 2016 წლის 31 მარტიდან 2017 წლის 2 დეკემბრამდე) და 5,7 მლნ. ლარის კუპონური სადეპოზიტო სერტიფიკატებისგან, რომელთა ვადაც 2017 წლის 3 იანვრიდან 2021 წლის 3 აპრილამდე მერყეობდა (2015 წ.: 1,0 მლნ. ლარი, 2016 წლის 9 მარტიდან 2016 წლის 12 ნოემბრამდე). დასაშვებია სადეპოზიტო სერტიფიკატების თავისუფლად გადაყიდვა ან მესამე მხარისთვის სხვაგვარად გადაცემა ბანკისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

სხვა ნასესხები სახსრები გაიზარდა 21.2 %-ით. ნასესხები სახსრები მოიცავს დედა ბანკისგან ნასესხებ

სახსრებს, საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრებს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან ენერგოსექტორის კომპანიების დაფინანსებისთვის მიღებულ თანხებს და ეროვნული ბანკისგან მიღებულ სახსრებს.

11.18 კაპიტალი

ბანკის კაპიტალი გაიზარდა 21.6%-ით. მათ შორის:

ბანკის საწესდებო კაპიტალს 2016 წლის განმავლობაში ცვლილება არ განუცდია.

უვადო სუბორდინირებული სესხი

2016 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 300,0 მლნ. რუბლის უვადო სუბორდინირებული სესხი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უვადო სუბორდინირებული სესხის საბალანსო ღირებულება იყო 12,9 მლნ. ლარი. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ჯგუფს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. ჯგუფს უპირობო უფლება აქვს, სურვილისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე სესხის გამცემისთვის შეტყობინების გაგზავნით.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს ბანკის აქციონერებისთვის წმინდა მოგებიდან, რომელიც მოცემულია ბანკის მიერ სეზ-ის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ არაკონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სეზ-ი უნდა იყოს ინფორმირებული დივიდენდების გამოცხადების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომერციული ბანკი არღვევს სეზ-ის სარეგულაციო მოთხოვნებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ან აკრძალოს დივიდენდების გაცემა.

2016 წლის 22 აპრილს ბანკის აქციონერთა ყოველწლიურმა საერთო კრებამ გამოაცხადა 2016 წლის დივიდენდები 8,2 მლნ ლარის ოდენობით, ანუ 0.04 ლარი ერთ აქციაზე, სეზ-ის მოთხოვნების თანახმად მომზადებული 2015 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. 2016 წელს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები 8,0 მლნ. ლარს შეადგენდა.

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის			
	2016	2015	სხვაობა
აუდირებული			
პროცენტული შემოსავალი	116,816	100,898	15,918
პროცენტული ხარჯი	(53,577)	(45,451)	(8,126)
წმინდა პროცენტული შემოსავალი	63,239	55,447	7,792
საკომისიო შემოსავალი	14,256	12,928	1,328
საკომისიო ხარჯი	(9,131)	(7,908)	(1,223)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	5,125	5,020	105
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან	7,687	3,727	3,960
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(3,649)	1,474	(5,123)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,019	9,415	604
წმინდა არაპროცენტული შემოსავალი	14,057	14,616	(559)
ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(660)	(5,992)	5,332
ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(560)	(497)	(63)
მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით	(1,220)	(6,489)	5,269
საოპერაციო მოგება დარეზერვების შემდეგ	81,201	68,594	12,607
პერსონალის ხარჯი	(36,751)	(33,159)	(3,592)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(3,726)	(3,351)	(375)
სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული ხარჯი	(13,571)	(14,769)	1,198
არასაპროცენტო ხარჯი	(54,048)	(51,279)	(2,769)
მოგება გადასახადებამდე	27,153	17,315	9,838
მოგების გადასახადი	291	(2,335)	2,626
მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ	27,444	14,980	12,464
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წმინდა მოგება	27,444	14,980	12,464


ბანკის საოპერაციო მოგება აქტივების სავარაუდო დანაკარგების რეზერვების შექმნის /აღდგენის შემდეგ 2016 წელს 81.2 მლნ. ლარია, რაც 12.1 მლნ. ლარით აღემატება 2015 წელს.

საპროცენტო შემოსავლები 116.8 მლნ. ლარია, რაც 15.9 მლნ. ლარით აღემატება 2015 წელს.


შედეგად, წმინდა საპროცენტო შემოსავალი არის 63.2 მლნ. ლარი, რაც 7.8 მლნ. ლარით აღემატება 2015 წლის შედეგებს.

საბანკო სისტემაში კვლავ აღინიშნება საპროცენტო სპრედისა და წმინდა საპროცენტო მარჟის შემცირების ტენდენცია.

საბანკო სისტემა



ვითიბი



2016 წელს ადმინისტრაციულ – სამეურნეო ხარჯები 54.0 მლნ. ლარი იყო, რაც 2.8 მლნ. ლარით მეტია 2015 წლის იგივე მაჩვენებელზე. აღნიშნული გამოწვეულია გაყიდვების ქსელის გაფართოებით და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით.

წმინდა მოგება 2016 წლის ბოლოს შეადგენს 27.4. მლნ ლარს, რაც 12.5 მლნ ლარით აჭარბებს ბანკის 2015 წლის საქმიანობის შედეგს.

12. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციები და ინფორმაცია

12.1. საქმიანობის ძირითადი ტენდენციები

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ძირითად ოპერაციებს ახორციელებს საქართველოში, რის გამოც ბანკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოს ეკონომიკა ღია ტიპის ეკონომიკაა და მისი გახსნილობის ხარისხი იზრდება. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედება და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერა. ეს გარემოება ქმნის პირობებს ქვეყნის პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებისათვის. ამავე დროს გახსნილობის გამო საქართველოს ეკონომიკა ძალზე მგრძობიარეა გარე შოკების მიმართ. ეს ნათლად გამოჩნდა 2013-2016 წლებში, როდესაც კრიზისულმა მოვლენებმა მსოფლიო ეკონომიკაში, განსაკუთრებით ძირითად ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში - რუსეთში, თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში - მნიშვნელოვანწილად განაპირობა

ეკონომიკის ზრდის ტემპების კლება. 2012-2016 წლებში მცირდებოდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა, სავალუტო ნაკადების შემოდინება, გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მოიმატა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა, ეცემოდა ლარის კურსი დოლარის მიმართ (12.4%-ით საშუალო წლიურად ბოლო ოთხ წელიწადში, აქედან 28.5%-ით მხოლოდ 2015 წელს).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად რთული საგარეო ეკონომიკური ვითარებისა, საქართველოს ეკონომიკამ შეფარდებითი მდგრადობა გამოავლინა და ეკონომიკური დინამიკის კლება მეზობლებთან შედარებით ნაკლები იყო.

2012-2016 წლებში მშპ-ს საშუალო წლიური მატება 3.4% იყო. აღსანიშნავია, რომ ამ დროს საფინანსო სექტორის (რომლის ძირითად ნაწილიც საბანკო სისტემაა) საშუალო წლიური მატება 9.2% -ია, და მისი წილი მშპ-ს სტრუქტურაში გაიზარდა 2.4%-დან 3.4%-მდე.

საბანკო სისტემის მზარდ როლზე ეკონომიკაში მიუთითებს მშპ-სთან ბანკების აქტივების, კრედიტების და დეპოზიტების ფარდობის განუზრეელი მატება. 2012-2016 წლებში ბანკების აქტივები მშპ-სთან გაიზარდა 54.9%-დან 88.9%-მდე, სესხები 32.4%-დან 54.5%-მდე, დეპოზიტები 29.2%-დან 50.1%-მდე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს დოლარიზაციის (ვალუტიზაციის) მაღალი დონე და მისი მატება 2012-2016 წლებში 61.5%-დან 66.9%-მდე.

2012-2016 წლებში საბანკო სისტემის აქტივები გაიზარდა 2.1 -ჯერ, კლიენტების დაკრედიტება 2.2-ჯერ, აქედან ფიზიკური პირებისა 2.5-ჯერ, მოზიდული დეპოზიტების მოცულობა 2.2-ჯერ, აქედან ფიზიკური პირებისა 2.4-ჯერ.

საბანკო სფეროში კონკურენცია მძაფრია. ისტორიულად მაღალია კონცენტრაციის დონე და იგი კვლავ იზრდება, ორი წამყვანი ბანკის წილი სისტემის აქტივებში გაიზარდა 2012 წლიდან 2017 წლის აპრილამდე 62.5%-დან 70.1%-მდე.

12.2. საფინანსო სექტორი საქართველოში

საქართველოს საფინანსო სექტორი შედგება ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სავალუტო ჯიხურების, სადაზღვევო კომპანიების და საპენსიო ფონდებისაგან.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მომხმარებელს შესთავაზონ საბანკო მომსახურების ფართო სპექტრი, მაშინ როდესაც სხვა ინსტიტუტები შეზღუდულია ყველა სახის ოპერაციებისაგან. მაგ: მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ მხოლოდ მიკრო სესხების გაცემა.

ზოგადად, ყველა ფინანსური ინსტიტუტი საქართველოში უნდა იყოს ლიცენზირებული და რეგისტრირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ძირითადი კანონები, რომელიც არეგულირებს საქართველოს საბანკო სექტორს არის ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, რომელიც მიღებულია 2009 წლის სექტემბერში და კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, რომელიც მიღებულია 1996 წელს. ორგანული კანონი არეგულირებს ძირითად პასუხისმგებლობას, ხოლო კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ - ბანკებისათვის ნებადართულ და აკრძალულ აქტივობებს.

12.3. კომერციული ბანკები საქართველოში

საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარეობს კონსოლიდაციის პროცესი. ბოლო წლებში ბანკების რაოდენობა შემცირდა 21-დან 17-მდე. მოქმედი ბანკებიდან 16, ანუ პრაქტიკულად ყველა ბანკი უცხოური კაპიტალის მონაწილეობითაა, რაც იმის გამოა, რომ რაიმე შეზღუდვა ინვესტიციებზე საფინანსო სექტორში არ არსებობს. ამავე დროს ფართოვდება ბანკების ქსელი, გაყიდვების წერტილების რაოდენობა 2017 წლის აპრილისთვის 1019-ია, მაშინ როდესაც 2012 წელს იყო 837.

საბანკო სისტემის აქტივები 2016 წლის ბოლოსთვის 30.1 მლრდ ლარია, საკრედიტო დაბანდება 19.2 მლრდ. ლარი, მოზიდული დეპოზიტები - 18.5 მლრდ. ლარი, ხოლო სააქციო კაპიტალი 4.0 მლრდ. ლარი.

2012-2016 წლებში მიუხედავად ეკონომიკის ზრდის შედარებით დაბალი ტემპებისა -3.4%, საბანკო სისტემის აქტივების საშუალო წლიური მატება ვალუტის კურსის ცვლილების ელიმინირებით იყო 7.1%, კრედიტებისა - 7.9%, ხოლო დეპოზიტებისა 8.4%.

კომერციული ბანკების კრებსითი აქტივებისა და პასივების დინამიკა (პერიოდის ბოლოსათვის, მლნ. ლარი)

	2012	2013	2014	2015	2016
ნაღდი ფულადი სახსრები	741	911	997	1,142	1,252
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	2,544	3,020	3,200	4,651	5,837
ფასიანი ქაღალდები	1,089	1,518	1,948	2,278	2,663
სესხები	8,849	10,700	13,250	16,287	19,179
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები	(609)	(703)	(803)	(1,016)	(1,177)
ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	369	354	505	135	473
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	990	1,021	1,044	1,153	1,177
სხვა წმინდა აქტივები	381	450	476	536	745
მთლიანი აქტივები	14,355	17,272	20,617	25,165	30,149
ვალდებულებები	11,965	14,378	17,031	21,653	26,171
დეპოზიტები	8,376	10,496	12,593	15,687	18,455

ნასესხები სახსრები	3,266	3,570	3,978	4,534	6,689
სხვა ვალდებულებები	323	312	460	1,431	1,026
სულ სააქციო კაპიტალი	2,390	2,893	3,587	3,513	3,978
განადღებული საწესდებო კაპიტალი	849	1,001	1,106	998	953
კაპიტალის რეზერვები	1,132	1,202	1,460	1,100	1,273
გაუნაწილებელი მოგება	409	690	1,021	1,415	1,751
მთლიანი პასივები	14,355	17,272	20,617	25,165	30,149

12.4. გაცემული დივიდენდები და დივიდენდის პოლიტიკა

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია, წლების მიხედვით სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს მიერ დივიდენდის გადახდის შესახებ:

პერიოდი	ბანკის აქციები პერიოდის ბოლოს	განაწილებული დივიდენდები	დივიდენდი 1 აქციაზე - ლარი
31 დეკემბერი 2016	191,292,701	8,231,369	0.04
31 დეკემბერი 2013	160,292,701	3,752,882	0.02
31 დეკემბერი 2012	148,042,701	8,566,244	0.06

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს ბანკის არსებული დივიდენდის პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, ბანკის წესდებას და ითვალისწინებს ვტბ-ს ჯგუფის დივიდენდის პოლიტიკას. მოგების განაწილებისას გაითვალისწინება აქციონერთა ინტერესები და ბანკის სტაბილური, გრძელვადიანი განვითარებისა და სიმყარის უზრუნველყოფის აუცილებლობა. დივიდენდის გაცემა არის ბანკის უფლება და არა ვალდებულება.

დივიდენდი გაცემა ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს ეროვნული ბანკის სტანდარტების მიხედვით. მისი სიდიდე დგინდება კაპიტალის ადეკვატურობისადმი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მარეგულირებელი მოთხოვნების გათვალისწინებით. ბანკს არ აქვს უფლება გასცეს გამოცხადებული დივიდენდი თუ: გაცემის დღისათვის დარღვეულია კაპიტალის ადეკვატურობის ნორმატივები და/ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.5. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს შეფასება სარეიტინგო კომპანიის მიერ

2013 წლის ბოლომდე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ თანამშრომლობდა სარეიტინგო კომპანია „Fitch Ratings“-თან, ხოლო 2014 წლიდან ბანკს აფასებს სარეიტინგო კომპანია Standard & Poors. მათი

შეფასებით, დღეისათვის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს გრძელვადიანი რეიტინგია „BB-“. პროგნოზი „სტაბილური“. მოკლევადიანი რეიტინგი „B“. მხარდაჭერის რეიტინგი „2“. ამავე დროს, საქართველოს ქვეყნის რისკი შეადგენს „BB-“. პროგნოზი „სტაბილური“.

13. ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

13.1 საქართველოსთან დაკავშირებული რისკები

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და ამასთან მდებარეობს გეოპოლიტიკური ინტერესების კვეთის არეალში. ეს ქმნის არასტაბილურობის და მაღალი რისკების სიტუაციას.

საქართველოში ინვესტირება უფრო მაღალი რისკის შემცველია ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. მაღალი რისკები მოიცავს მაღალ მერყეობას, შეზღუდულ ლიკვიდურობას, ვიწრო საექსპორტო ბაზას, მიმდინარე ანგარიშის და ბიუჯეტის დეფიციტს, ვალუტის მერყეობას და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი გარემოს არასტაბილურობას. ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორცაა საქართველო, სწრაფი ცვლილებებით ხასიათდებიან და დამოკიდებული არიან სხვა ქვეყნებში მიმდინარე საბაზრო პირობების ცვლილებასა და ეკონომიკურ შოკებზე. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეიძლება სწრაფად გახდეს მოძველებული. განვითარებადი ქვეყნებში ასევე ხშირია კორუფციის და სახელმწიფო ფინანსების არაკეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევებიც.

შედეგად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ში ინვესტირება მეტ რისკებთანაა დაკავშირებული, ვიდრე სხვა განვითარებულ ბაზარზე ინვესტირება. ამ რისკებს ასევე აღრმავებს არასრული, არასანდო და ძნელად მისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები საქართველოს შესახებ. განვითარებადი ბაზრებზე ინვესტირება მიზანშეწონილია ისეთი ინვესტორებისთვის, რომლებიც სრულად აფასებენ მოსალოდნელ რისკებს.

ფინანსური არასტაბილურობა ზოგიერთ განვითარებადი ეკონომიკაში პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის კაპიტალის ბაზარზე, რადგან ხშირად ინვესტორებს სხვა განვითარებულ ქვეყნებში გადააქვთ თავიანთი ფულადი სახსრები, რადგან ისინი უფრო სტაბილურად მიიჩნევიან. ინვესტიციების გადინება გააუარესებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას შეამცირებს ადგილობრივი კომპანიების კაპიტალიზაციას და აქციების ეს უარყოფითად აისახება ბანკის საქმიანობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

კრიზისული მოვლენები მეზობელი და ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებში დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე. საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შემცირების კომპენსაციას სხვა ქვეყნების ბაზრებთან კავშირების გაფართოებით დრო სჭირდება და მოითხოვს ეკონომიკის გარკვეულ სტრუქტურულ გადაწყობას. 2016 წელს 2012 წელთან შედარებით საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ მოიკლო 9.9%-ით, ექსპორტი შემცირდა 11%-ით, ხოლო იმპორტი 9.5%-ით.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა მეზობლებთან (რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი) ჯამურად შემცირდა 20.5%-ით, მ.შ. ექსპორტი 54.4%--ით, იმპორტი კი 4.6 %-ით. ამავე დროს დანარჩენი ქვეყნების მიხედვით ექსპორტი გაიზარდა 89%-ით, ხოლო იმპორტი შემცირდა 13%-ით.

განსაკუთრებით საგრძნობი იყო მოქალაქეთა ფულადი გზავნილების შემოდინების კლება, რაც ფაქტობრივად ვერ დააკომპენსირა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მატებამ. 2016 წლისათვის 2012 წელთან შედარებით გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა 183 მლნ. აშშ დოლარით, მხოლოდ რუსეთიდან კლება იყო 353 მლნ. აშშ დოლარი.

საქართველო ვერ იყენებს საკუთარ პოტენციალს შიდა და რეგიონული კონფლიქტების გამოც, ესეც ზრდის ქვეყნის რისკიანობას. ახლო სამეზობლოში არსებულ პრობლემებს დაემატა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები.

25 წელზე მეტია საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობა სერიოზული ტრანსფორმაციების პროცესშია. მერყეობას და პოლიტიკური არასტაბილურობის რისკს შესაძლოა უარყოფითი ეფექტი ჰქონდეს ვითიბი ბანკის განვითარების პერსპექტივასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

13.2 ძირითადი რისკები

ბანკი საკუთარი მიზნებისათვის ვეტებე–ს ჯგუფში მიღებული რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად, რისკების მართვას ახორციელებს მათი სტრუქტურირებული მიდგომის საფუძველზე, რაც გულისხმობს რისკების დაყოფას კატეგორიებად: „მნიშვნელოვანი“ (მათ შორის, „ძალზე მნიშვნელოვანი“) და „არარსებითი“ („არამნიშვნელოვანი“).

„მნიშვნელოვანი“ რისკების შემადგენლობაში გამოიყოფა „ძალზე მნიშვნელოვანი“ რისკები, რომელშიც შედის:

- საკრედიტო რისკები (მათ შორის დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე საკრედიტო კონცენტრაციის რისკი),
- საბაზრო რისკები (სავალუტო, საფონდო, პროცენტული რისკები),
- ლიკვიდობის რისკი,
- საოპერაციო რისკები (სამართლებრივი რისკის ჩათვლით).

დანარჩენი „მნიშვნელოვანი“ რისკები აერთიანებს:

- მოდელურ რისკებს,
- კონცენტრაციის სხვა ქვესახეების რისკებს (მა შორის, ერთ ვალუტაში ნომინირებული მოთხოვნების საკრედიტო კონცენტრაციის რისკს, დარგობრივი საკრედიტო კონცენტრაციის რისკს, ქვეყნის საკრედიტო კონცენტრაციის რისკს, უზრუნველყოფის სახეების კონცენტრაციის რისკს).

„არარსებითი“, ანუ „არამნიშვნელოვანი“ რისკების კატეგორიაში შედიან:

- კომპლაენს რისკი,

- სტრატეგიული რისკი,
- რეპუტაციის რისკი.

აღნიშნული რისკების მართვის სპეციფიკა და მიდგომები იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ „მნიშვნელოვანი“ („ძალზე მნიშვნელოვანი“) რისკები იმართება შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და რაოდენობრივი შეფასებების ფარგლებში, ანუ თითოეული მათგანის მიმართ არსებობს შიდა ნორმატიულ-მეთოდოლოგიური ბაზა, ხორციელდება რისკების სრული იდენტიფიცირება, რაოდენობრივი შეფასება და ანალიზი, რისკების მონიტორინგი და კონტროლი. „არაარსებითი“ („არამნიშვნელოვანი“) რისკების შემთხვევაში ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი/ექსპერტული შეფასებები. აღნიშნული კლასიფიკაციის მიუხედავად, ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახის რისკების მართვას ბანკში ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგალითად, კომპლენს რისკების მართვას. იხ. ქვემოთ.

ბანკის ძირითად სტრატეგიულ მიზნებს რისკებისა და კაპიტალის მართვის სფეროში, წარმოადგენს:

- საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემის ადეკვატურობასთან დაკავშირებით.
- ბანკისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირება (მათ შორის მისი საქმიანობის ცალკეული მიმართულებების, ოპერაციათა (პროდუქტების) სახეების, კონტრაგენტების სეგმენტების მიხედვით). „მნიშვნელოვანი“ („ძალზე მნიშვნელოვანი“) რისკების გამოყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიების საფუძველზე.
- პოტენციური რისკების გამოვლენა და ანალიზი ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებისა და დანერგვის და/ან ახალ ბაზარზე გასვლის დროს.
- რისკ-კულტურის განვითარება, პასუხისმგებლობის ამაღლება მართვის სხვადასხვა დონეზე რისკის შემცველი ოპერაციების განხორციელებაზე გადაწყვეტილებების მიღების დროს.
- ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა რისკსა და ფინანსურ შედეგს შორის ბანკის საქმიანობის ყველა მიმართულების მიხედვით.
- ძირითადი რისკების შეფასების, კონტროლის (მიტიგირების) და მათი მონიტორინგის საუკეთესო პრაქტიკაზე დამყარებული მეთოდების ეფექტური გამოყენება.
- რისკების ოდენობის კონტროლის უზრუნველყოფა და ბანკის საქმიანობის შეფასება რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების გამოყენებით.
- რისკების გადასაფარად საჭირო კაპიტალის ადეკვატურობის დონის მუდმივი კონტროლი, მათ შორის შოკური სიტუაციის (სტრეს-ტესტირება) ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე პოტენციური ზემოქმედების მოდელირება, ანალიზი.

- კრიზისულ სიტუაციებში ბანკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ხანგრძლივად განუსაზღვრელი რისკის ქვეშ ყოფნის დაუშვებლობა.
- ბანკის რისკების მიხედვით ანგარიშგების სისტემის სათანადო მხარდაჭერა, უფლებამოსილი კოლეგიალური ორგანოებისა და თანამდებობის პირების, ასევე საზედამხედველო ორგანოების, აქციონერებისა და ინვესტორების ინფორმირებისათვის.
- ბანკის მიერ აღებული რისკების, მათი შეფასების, რისკებისა და კაპიტალის მართვის თაობაზე ინფორმაციის გამჟღავნება დადგენილი წესის შესაბამისად.
- რისკების შესახებ მონაცემებისა და IT ინფრასტრუქტურის არქიტექტურის იმ დონეზე მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს რისკების შესახებ ინფორმაციის ხარისხს (საიმედობა, სისრულე, მთლიანობა, თავისდროულობა) საზედამხედველო მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.
- რისკებისა და კაპიტალის მართვის მექანიზმების ეფექტურად აგების უზრუნველყოფა ბანკის მართვის, სტრატეგიული და ბიზნეს-დაგეგმვის პროცესების ერთიანი სისტემის ფარგლებში.

თითოეული ეს რისკი იმართება შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. თითოეული ამ რისკის ნაწილში შემუშავებულია მეთოდოლოგია, ფუნქციონირებს ანგარიშგების სისტემა.

რისკების მართვის პროცესი გულისხმობს ბანკის მენეჯმენტის, პოლიტიკისა და პროცედურების ზედამხედველობას, რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვას, მინიმიზაციის ღონისძიებების გატარებას. ასევე, მათ მონიტორინგსა და ლიმიტების განსაზღვრას, ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირებასა და რისკების კონტროლს.

დეტალური ანალიზი ძირითად რისკებთან მიმართებაში მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში ცალკე ნაწილებად.

13.3. რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები

სამეთვალყურეო საბჭო. ბანკის რისკების მართვის უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს მისი ქვემდგომი ყველა კოლეგიალური ორგანოს სტატუსს, საქმიანობის მიმართულებებს და პერსონალურ შემადგენლობას.

დირექტორატი. ბანკის მენეჯმენტის დონეზე რისკების მართვასა და კონტროლს ახორციელებს დირექტორატი, რომელიც განსაზღვრავს ბანკის ყველა საქმიანობის მიმართულებას, ამტკიცებს შიდა მარეგულირებელ და პროცედურულ დოკუმენტებს და პასუხისმგებელია მთელი პროცესის მონიტორინგზე.

საკრედიტო კომიტეტი. იგი იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის სახსრების ეფექტიან განთავსებაზე მაქსიმალური შემოსავლის მიღების მიზნით, უზრუნველყოფს ბანკში საკრედიტო რისკების მართვის ეფექტურ და უწყვეტად ფუნქციონირებას, ახდენს მისაღები სტრუქტურისა და ხარისხის საკრედიტო პორტფელის ფორმირებას.

აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი. კომიტეტის საქმიანობის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს უზრუნველყოს ბანკის აქციონერთა კაპიტალის მაქსიმალიზაცია, ბანკის შემოსავლიანობის ზრდა, კლიენტთა მომსახურების გასაუმჯობესება, ბანკის ფინანსური მდგრადობის ამაღლება და ბანკის ინტერესების დაცვა ყველა შესაძლო ფინანსური საფრთხეებისა და გამოწვევებისაგან, აქტივ-პასივებისა და რისკების ეფექტური მართვის მეშვეობით. კომიტეტი უზრუნველყოფს რისკების საიმედო პოლიტიკების, პროცედურებისა და მეთოდების არსებობას და ფუნქციონირებას, ზრუნავს იმისათვის, რომ აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის სისტემა სრულად შეესაბამებოდეს ბანკის საქმიანობის მოცულობით და კომპლექსურობის მახასიათებლებს. კომიტეტი უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას, რომელიც ემსახურება ძირითადი რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, რისკის ლიმიტების დაწესებასა და კონტროლს, ასევე სხვა საქმიანობის განხორციელებას, რომელიც აუცილებელია რისკების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

რისკების სამმართველო. რისკების სამმართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს რისკების დირექტორი, რომელიც ამავე დროს არის დირექტორატის წევრი და საკრედიტო და აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტების თავმჯდომარის მოადგილე. რისკების სამმართველო უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვას (საკრედიტო, საბაზრო, ოპერაციულ რისკები. ლიკვიდობის რისკის ნაწილში უზრუნველყოფს ხაზინასთან ერთად მის მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას და ახდენს ლიკვიდობის რისკის შეფასების და ანალიზს) მასში გაერთიანებული პროფილური რისკების მართვის ქვედანაყოფების მეშვეობით, მათ შორის: კონსოლიდირებული რისკის ანალიზის განყოფილება. კორპორატიული საკრედიტო რისკის განყოფილება. საცალო საკრედიტო რისკის განყოფილება. საბაზრო და საოპერაციო რისკების განყოფილება. უზრუნველყოფს საგნის შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი. საკრედიტო გარიგებების მონიტორინგის ჯგუფი.

კომპლაენს კონტროლის განყოფილება (შესაბამისობის სამსახური). განყოფილება უძღვება კომპლაენს (შესაბამისობის) რისკების მართვას. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება ბანკის გენერალურ დირექტორს. განყოფილების უფროსი ასევე არის აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტების წევრი.

ფინანსური მონიტორინგის განყოფილება. განყოფილება წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელიც უძღვება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების და საერთაშორისო სანქციების რისკების მართვას. განყოფილების უფროსი ექვემდებარება ბანკის რისკების დირექტორს.

ხაზინა. ბანკის ხაზინა პასუხისმგებელია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე. ასევე,

ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ჯგუფის დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

შიდა აუდიტი. ბანკში რისკების მართვის პროცესებს კონტროლს უწევს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით.

13.4. მნიშვნელოვანი რისკების მართვა

13.4.1. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის წარმოქმნის რისკი მოვალეს მიერ შეთანხმების პირობებით გათვალისწინებული ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არა ჯეროვნად შესრულების შედეგად. საკრედიტო რისკს გააჩნია ყველაზე მაღალი ხვედრითი წონა იმ რისკებს შორის, რომელსაც ბანკი იღებს თავისი საბანკო საქმიანობის განხორციელების პროცესში. საკრედიტო რისკების მართვის ნაწილში შემუშავებულია მთელი რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის შესაბამისი საკრედიტო პროცედურები, რომლებიც არეგულირებენ კრედიტის გაცემის, ადმინისტრირების, მონიტორინგისა და კონტროლის პირობებს. მასში განსაზღვრულია თითოეული საკრედიტო პროდუქტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით საკრედიტო რისკის ლიმიტები, მათი მონიტორინგისა და ადმინისტრირების მექანიზმები, საკრედიტო რისკების გაანგარიშების საფუძვლები. კორპორატიული მსესხებლების რისკების შეფასებისათვის ბანკი იყენებს შიდა რეიტინგული შეფასების სისტემას, რომლის მეშვეობით ხდება მსესხებელთა რანჟირება რისკის ჯგუფებად. აღნიშნული შეფასებები გამოყენებულია მსესხებლების დაკრედიტების ლიმიტების განსაზღვრისა და მათთან სხვა რისკის შემცველი ოპერაციების ჩატარებისათვის. ბანკის საკრედიტო პორტფელის ლიმიტების სისტემა მოიცავს კონკრეტული კონტრაგენტებისთვის, ურთიერთდაკავშირებული კონტრაგენტთა ჯგუფებისათვის განსაზღვრულ, მსხვილ რისკებთან დაკავშირებულ ლიმიტებს, აგრეთვე სებ–ის ნორმატიული დოკუმენტებით და ბანკის მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ სხვა ლიმიტებს. კონტრაგენტთა რისკების შეფასება ხორციელდება ფინანსურ–ეკონომიკური ანალიზის ჩატარების, ბანკის მსესხებელთა და კონტრაგენტთა რეიტინგული სისტემის საფუძველზე. ბანკი ახდენს საკრედიტო პორტფელის დანაკარგების შეფასებას, რეზერვების გაანგარიშებას როგორც სებ–ის სტანდარტების, ისე ფასს–ის შესაბამისად. ფუნქციონირებს მონიტორინგისა და საკრედიტო რისკებისა და ანგარიშგების კონტროლის სისტემა.

საკრედიტო რისკს ახასიათებს ისეთ ოპერაციებს, როგორცაა:

- დაკრედიტება.
- გარანტიის გაცემა, გახსნილი და დადასტურებული აკრედიტივები.
- სავალო ფასიანი ქაღალდების შეძენა.
- გარიგებათა მიხედვით უფლებების (მოთხოვნის) შეძენა.

- კრედიტის გაცემა ოქროთი და ფასიანი ქაღალდით.
- ფინანსური აქტივების გაყიდვა (შემენა) გადახდის გადავადებით (ფინანსური აქტივების მიწოდება).
- სავაჭრო ოპერაციების წარმოება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით.
- ლიზინგის ოპერაციები.
- ფაქტორინგული ოპერაციები.

საკრედიტო რისკის პროფილი, რომელსაც ბანკი იღებს, განისაზღვრება საკრედიტო პორტფელის შემადგენლობით ბანკის მოქმედი სტრატეგიული განვითარებისა და საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად და ფორმირდება უპირატესად საშუალო ბიზნესის კორპორატიული კლიენტების, საკრედიტო ორგანიზაციების, ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოებისა და საცალო კლიენტების (ფიზიკური პირები, მცირე ბიზნესის სუბიექტები) საკრედიტო მოთხოვნებით.

საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება ხდება ორ დონეზე: ჯგუფის დონეზე კონსოლიდირებული რისკების მართვის მიზნით და ბანკის დონეზე. ჯგუფის დონეზე გადაწყვეტილების მიღება ხდება რისკის არსებითი სიდიდიდან გამომდინარე დადგენილი ლიმიტის ფარგლებში. ბანკის დონეზე გადაწყვეტილებები მიიღება უშუალოდ საკრედიტო კომიტეტის მიერ და მის მიერ უფლებამოსილ პირთა ჯგუფის/პირების მიერ, რომელთაც საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილებით დელეგირებული აქვთ საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. ეს უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისი ლიმიტებით, რომლის პირობები დამოკიდებულია რისკის პროფილზე (კლიენტების სეგმენტი, პროდუქტები და ა.შ.) და გადაწყვეტილების მიმღები პირების თანამდებობრივ სტატუსზე.

რისკების შეფასების მეთოდები.

საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდს მიეკუთვნება საფინანსო და არასაფინანსო მაჩვენებლების ანალიზის შედეგებისა და ექსპერტული შეფასების მიხედვით კლიენტების კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შიდა რეიტინგული /სკორინგული მეთოდიკა). გარდა აღნიშნულისა, საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდებად გამოყენებულია:

- საკრედიტო რისკის კონცენტრაციის დონის ანალიზი, რომელსაც ბანკი იღებს ცალკეული მსესხებელზე (მსესხებელთა ჯგუფზე), დარგებზე, ქვეყნებზე, კლიენტების სეგმენტებზე და საკრედიტო პროდუქტების სახეებზე.
- კაპიტალის ადეკვატურობისა და საკრედიტო რისკის ოდენობის შეფასება სავალდებულო ნორმატივების გაანგარიშების ფარგლებში, რომელიც დადგენილი აქვს ეროვნულ ბანკს.
- საკრედიტო პორტფელის მიხედვით ზარალის სტრეს-ტესტირების ჩატარება სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარების გათვალისწინებით.

საკრედიტო რისკების შეფასების დროს გამოიყენება შემდეგი უნივერსალური მიდგომები:

კორპორატიული საკრედიტო რისკის ნაწილში:

- ყოველი მნიშვნელოვანი კლასის/ტიპის კონტრაგენტზე გამოიყენება კრედიტუნარიანობის დონის შესაბამისი შეფასების შიდა მეთოდიკა (რეიტინგული შეფასება), რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კლიენტების სეგმენტების სპეციფიკას (მათ შორის, სუვერენულ კონტრაგენტებს, კორპორატიულ კლიენტებს, საფინანსო ინსტიტუტებს).
- მეთოდიკის გამოყენების შედეგია კონტრაგენტის შიდა რეიტინგი და მისი შესაბამისი კონტრაგენტის დეფოლტზე გასვლის ჰიპოთეტური ალბათობა შემდეგ 12 თვიან ჰორიზონტზე (დეფოლტი).
- შიდა რეიტინგი გადის ექსპერტიზას რისკების შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ.

საცალო საკრედიტო რისკის ნაწილში:

- კლიენტის შეფასება ხორციელდება სკორინგული მოდელების გამოყენებით. რომელიც აგებულია ბანკის სტატისტიკის საფუძველზე და ინფორმაციის გარე წყაროებზე, ასევე საკრედიტო წესებზე, რომელიც შემუშავებულია ბანკის მიერ სტატისტიკაზე დაყრდნობით. სკორინგული სისტემა წარმოადგენს ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების ერთიან ცენტრს.
- კლიენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების შემთხვევაში ტარდება კლიენტის კომპლექსური შესწავლა, როდესაც გარიგების მიხედვით საკრედიტო რისკი განისაზღვრება კლიენტის კრედიტუნარიანობით და ნაკლებად არის დამოკიდებული კლიენტის მიერ მოთხოვნილი საკრედიტო პროდუქტების პარამეტრებით.

რისკების შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები.

საკრედიტო რისკის შეზღუდვისა და საკრედიტო რისკის დონის კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს **საკრედიტო ლიმიტების სისტემა**.

საკრედიტო რისკის ლიმიტების სახეებია:

- ლიმიტები საკრედიტო რისკის დონეზე მთლიანად საკრედიტო პორტფელისა და ცალკეული სეგმენტების მიხედვით.
- ლიმიტები, რომლებიც ზღუდავენ რისკის დონეს კონკრეტული კლიენტის (დაკავშირებული კლიენტების ჯგუფის) მიმართ.
- ლიმიტები, რომლებიც ზღუდავენ საკრედიტო რისკების კონცენტრაციას (ქვეყნების, დარგების, მსხვილი კონტრაგენტების, საკრედიტო პროდუქტების მიხედვით).
- საკრედიტო ორგანიზაციებზე წესდება საკრედიტო-სადეპოზიტო ლიმიტები (სუბლიმიტები).
- სხვა ლიმიტები, რომლებიც დაწესებულია ჯგუფისა და ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შიდა ლიმიტებისა, ბანკში მოქმედებს საზედამხედველო ლიმიტები, მათ შორის:

- ერთი დაკავშირებული მხარის კოეფიციენტი.
- ყველა დაკავშირებული მხარის კოეფიციენტი.
- ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი.

- ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი.
- მსხვილი სესხების კოეფიციენტი.
- საბლანკო სესხების კოეფიციენტი.

ქვემოთ წარმოდგენილია ბანკის მიერ საკრედიტო რისკის ნაწილში საზედამხედველო ნორმატივების შესრულების მაჩვენებლები:

ცხრილი 13.1

მაჩვენებლები	2016 წელი		2015 წელი	
	ნორმატივი	შესრულება	ნორმატივი	შესრულება
ერთი დაკავშირებული მხარის კოეფიციენტი ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა /საზედამხედველო კაპიტალი)	5%	1.63%	5%	1.58%
ერთი დაკავშირებული მხარის კოეფიციენტი ბანკის მიერ ერთი დაკავშირებული მსესხებლისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა /საზედამხედველო კაპიტალი)	25%	1.76%	25%	1.89%
ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტი ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა/საზედამხედველო კაპიტალი)	15%	14.28%	15%	12.29%
ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა კოეფიციენტი (ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა /საზედამხედველო კაპიტალი)	25%	19.65%	25%	20.83%
მსხვილი სესხების კოეფიციენტი (ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა /საზედამხედველო კაპიტალი) შენიშვნა: მსხვილი თანხად ითვლება სესხები და სხვა ვალდებულებები, რომელთა ოდენობა აღემატება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს.	200%	196.95%	200%	178.30%
საბლანკო სესხების კოეფიციენტი	30%	16.40%	30%	11.07%

(საბლანკო სესხები/მთლიანი სესხები)				
------------------------------------	--	--	--	--

საკრედიტო რისკის შემცირება.

საკრედიტო რისკის შესამცირებლად ბანკი იყენებს უზრუნველყოფას, მათ შორის მის შემდეგ ძირითად სახეებს: იპოთეკას, გირაოს, გარანტიებს, თავდებობებს. უზრუნველყოფის არსებობა და მისი საკმარისობის დონე გაითვალისწინება საკრედიტო გარიგებათა ღირებულების განსაზღვრაში, ასევე საკრედიტო გარიგების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაში.

საგირავნო ხელშეკრულებების ექსპერტიზის დროს გაითვალისწინება იპოთეკის, გირავნობის საგნის საბაზრო და საგირავნო ღირებულება. ამასთან, შეიძლება გამოყენებული იქნას დამოუკიდებელი, გარე საბაზრო შეფასებები.

პორტფელურ დონეზე წესდება ლიმიტი საკრედიტო რისკის მქონე არაუზრუნველყოფილ ოპერაციების მოცულობაზე.

მონიტორინგი

ბანკი ახდენს მთლიანად საკრედიტო პორტფელის მიხედვით დადგენილი ლიმიტების დაცვის მდგომარეობის მონიტორინგს, ასევე გამოიყენება სხვა მიდგომები.

კორპორატიული დაკრედიტების სეგმენტში გამოიყენება მონიტორინგის ისეთი მიდგომები, როგორცაა მეტრიკისა და საკონტროლო მნიშვნელობების დაწესება (მაგალითად, მიზნობრივი დონე, ტრიგერი, ლიმიტი) ბანკის რისკ-აპეტიტის ნაწილში. ამ მნიშვნელობათა დარღვევის შედეგად გასატარებელი სტანდარტული ღონისძიებები, რისკ-აპეტიტის მეტრიკის დაცვის კონტროლი, შესაბამისი ანგარიშგება ბანკის შიდა პროცედურების ფარგლებში.

საცალო დაკრედიტების ნაწილში გამოიყენება:

საცალო პროდუქტების, კლიენტების მიხედვით აგრეგირებული და დეტალიზირებული მაჩვენებლების მონიტორინგი საკრედიტო პორტფელის ხარისხის მაჩვენებლების ცვლილების გასაზომად. ანალიტიკური ანგარიშგების ფართო სისტემა. პორტფელური რისკ-მენეჯმენტის პროცედურები, რომელის საშუალებას იძლევა მოხდეს ოპერატიული რეაგირება პორტფელის ხარისხის გაუარესებაზე და რისკის დონის შემცირების ღონისძიებების მიღება. გარდა აღნიშნულისა, ბანკის მიერ გამოიყენება მონიტორინგის სხვა მეთოდები, რომელიც ბანკს აძლევს საშუალებას განახორციელოს რისკის დონისა და საცალო საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ბალანსის მონიტორინგი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მიდგომებისა, ბანკის ახდენს კორპორატიული ბიზნესის ცალკეული გარიგებათა მონიტორინგს საკრედიტო რისკის ფაქტორების გამოვლენის მიზნით.

რისკის შეფასების მეთოდების ეფექტურობის უზრუნველყოფა

საკრედიტო რისკის შეფასებათა ეფექტურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად, ბანკი ახდენს თავისი მეთოდების, მოდელების და პროცედურების შიდა ვალიდაციას (შეფასებას), რომელსაც ახორციელებს სათაო ბანკის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. შიდა ვალიდაცია გულისხმობს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ვალიდაციას. ხარისხობრივი ვალიდაცია მოიცავს მოდელებისა და შესაბამისი პროცესების, მონაცემთა ბაზის, IT ინფრასტრუქტურის დოკუმენტური აღწერის სისრულისა და ხარისხის, ასევე რეიტინგების მინიჭების პროცესის, მოდელირების შედეგების კორექტირების და შედეგების გამოყენების ანალიზს. რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების დროს მოწმდება რეიტინგული მოდელის შესაძლებლობები, კალიბრაციის უნარი, სტაბილურობა და სხვა ინდიკატორები. რაოდენობრივი ვალიდაციის შედეგები განიხილება და გადაწყვეტილებები მიიღება უფლებამოსილი ორგანოების დონეზე.

ანგარიშგება რისკების შესახებ

ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და რისკების მართვის სისტემის შესახებ აქციონერების, კრედიტორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით ბანკი რეგულარულად ამზადებს გარე ანგარიშგების მომზადებას ფასს–ის მიხედვით.

შიდა ანგარიშგების ფარგლებში ფორმირდება ანგარიშგება საკრედიტო რისკის შესახებ ჯგუფის მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად და მისი წარდგენა ხდება შესაბამისი სტრუქტურითა და დადგენილ ვადებში.

ქვემოთ მოცემულია სასესხო პორტფელის საკრედიტო რისკების ანალიზი ფასს–ის სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა: საცალო სესხებში შედის სესხები, რომელიც გაცემულია ფიზიკურ პირებზე და მცირე ბიზნესზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ბანკის საკრედიტო რისკის მქონე აქტივები მათი საკრედიტო ხარისხის მიხედვით:

ცხრილი 13.2

2016 წ. 31 დეკემბერი (ათ. ლარი)	არც ვადაგადაცილებული და არც ვადაგადაცილებულ სულ		
	გაუფასურებული	ლი ან	ლი ან
აქტივები / შეფასების კატეგორიები	მაღალი	სტანდარტული	სტანდარტული ინდივიდუალურად
	ლი	ლი	ლი
		დაბალი	გაუფასურებული

	სესხები				
ნაღდი ფული	110,128	156,782	–	–	266,910
მოთხოვნები ბანკების მიმართ	142,053	122	–	–	142,175
გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	80,459				80,459
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	91,032	231,314	49,574	26,668	398,589
საცალო სესხები	485,239	25,063	12,543	12,331	535,175
სულ სესხები	576,271	256,377	62,117	38,999	933,764
სხვა ფინანსური აქტივები	–	4,401	–	–	4,401
სულ	908,911	417,682	62,117	38,999	1,427,709

ხვედრითი წილი

სესხები	40%	18%	4%	3%	65%
სხვა აქტივები	23%	11%	0%	0%	35%

ცხრილი 13.3

**20156 წ. 31 დეკემბერი
(ათ. ლარი)**

აქტივები / შეფასების კატეგორიები

	<i>არც ვადაგადაცილებული და არც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული</i>				<i>სულ</i>
	<i>მაღალი</i>	<i>სტანდარტული</i>	<i>სტანდარტული</i>	<i>ინდივიდუალურად</i>	
	<i>ლო</i>	<i>ლო</i>	<i>დაბალი</i>	<i>დ</i>	
				<i>გაუფასურებული</i>	
				<i>სესხები</i>	
ნაღდი ფული	206,891	215	-	-	207,106
მოთხოვნები ბანკების მიმართ	85,145	90	-	-	85,235
გასაყიდი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	55,533	-	-	-	55,533
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული სესხები	115,406	107,633	90,864	8,252	322,155
საცალო სესხები	372,223	31,299	8,835	11,880	152,284
სულ სესხები	487,629	138,932	99,699	20,132	746,392
სხვა ფინანსური აქტივები	0	804	-	-	804
სულ	835,198	140,041	99,699	20,132	1,095,070

ხვედრითი წილი

სესხები	45%	13%	9%	2%	68%
---------	-----	-----	----	----	-----

სხვა აქტივები	32%	0%	0%	0%	32%
---------------	-----	----	----	----	-----

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგული შეფასება ეფუძნება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, იურიდიულ პირებზე (კორპორაციული, მცირე ბიზნესი) გაცემული, არავადაგადაცლებული კოლექტიურად შეფასებული სესხები დაყოფილია ქვემოთ წარმოდგენილ სამ ხარისხობრივ ჯგუფად:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ ლიკვიდურობის მაღალი დონე და შემოსავლისუნარიანობა. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ასეთ შემთხვევაში დაბალია.
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს საშუალო დონის ლიკვიდურობით და შემოსავლისუნარიანობით. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა საშუალო დონისაა.
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლების ლიკვიდურობა და შემოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია. სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის ალბათობა ამ შემთხვევაში საშუალოზე მაღალია.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ფიზიკურ პირებზე გაცემული, არავადაგადაცლებული კოლექტიურად შეფასებული სესხები დაყოფილია ქვემოთ წარმოდგენილ სამ ხარისხობრივ ჯგუფად:

- ▶ მაღალი შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს, რომელთაც აქვთ კარგი საკრედიტო ისტორია და მყარი ფინანსური მდგომარეობა, დეპოზიტებით და ოქროთი უზრუნველყოფილ სესხებს.
- ▶ სტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფი მოიცავს მსესხებლებს კარგი/საშუალო საკრედიტო ისტორიითა და მყარი/საშუალო ფინანსური მდგომარეობით.
- ▶ ქვესტანდარტული შეფასების მქონე ჯგუფში გაერთიანებულია სესხები საშუალო საკრედიტო ისტორიითა და ფინანსური მდგომარეობით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგვიდგენს არაგაუფასურებული სესხების გარეშე ვადაგადაცილებულ სესხების ვადიანობის ანალიზს:

ცხრილი 13.4

2016 წლის 31 დეკემბრის	30 დღეზე	31	61	90 დღეზე	სულ
-------------------------------	-----------------	-----------	-----------	-----------------	------------

მდგომარეობით (ათ. ლარი)	ნაკლები	დღიდან	დღიდან	მეტი	
		60	90		
		დღემდე	დღემდე		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული	20,855	494	694	890	22,933
საცალო	6,385	1,920	2,080	1,367	11,752
სულ	27,240	2,414	2,774	2,257	34,685

ცხრილი
13.5

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)	30 დღეზე ნაკლები	31	61	90 დღეზე მეტი	სულ
		დღიდან 60	დღიდან 90		
		დღემდე	დღემდე		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები					
კორპორატიული	4,474	2,124	97	676	7,371
საცალო	6,078	1,663	935	2,451	11,127
სულ	10,552	3,787	1,032	3,127	18,498

ქვემოთ წარმოდგენილია 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხების ხვედრითი წილი მთლიან სასესხო პორტფელთან:

ცხრილი 13.6

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)	მთლიანი პორტფელი	90 დღეზე ზევით ვადაგადაცილებული	ხვედრითი წილი %-ში
კორპორატიული სესხები	422,386	20,927	4.95%
საცალო სესხები	542,524	7,874	1.45%
სულ	964,910	28,801	2.98%

ცხრილი 13.7

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)	მთლიანი პორტფელი	90 დღეზე ზევით ვადაგადაცილებული	ხვედრითი წილი %-ში
--	------------------	---------------------------------	--------------------

	ში		
კორპორატიული სესხები	346,933	20,734	5.98%
საცალო სესხები	435,187	12,561	2.89%
სულ	782,120	33,295	4.26%

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილებიდან ჩანს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 90 დღეზე ზევით სესხები მოცულობები ბიზნეს-ხაზების მიხედვით შემცირებულია, რაც ძირითადად მათი ამოღებითა და ბალანსიდან ჩამოწერით არის განპირობებული.

რესტრუქტურირებული და რეფინანსირებული სესხების მონაცემები წარმოდგენილი შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 13.8

	2016	2015
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები		
კორპორატიული სესხები	3,920	7,295
საცალო სესხები	13,960	9,675
სულ	17,880	16,970

ბანკის მიერ სესხების რესტრუქტურირაცია და რეფინანსირება ხორციელდება შესაბამისი წერილობითი პროცედურების შესაბამისად. რესტრუქტურირაციად ითვლება კონტრაგენტთან შეთანხმების პირობების შეცვლა, რომელიც აღიარებულია რესტრუქტურირაციად იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც შემუშავებული აქვს ბანკს შიდა და ეროვნული ბანკის სტანდარტების შესაბამისად, რომლის თანახმადაც გარიგების მიხედვით თავდაპირველი შეთანხმების პირობები არსებითად არის შეცვლილი და არსებობს არსებითი ეჭვი იმისა, რომ კონტრაგენტმა შეძლოს საკონტრაქტო პირობების ვადაში და სრული ოდენობით გადახდების განხორციელება. ეროვნული ბანკის სტანდარტების მიხედვით, *რეფინანსირებული სესხი* არის სესხი, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე არსებობს შეთანხმება კომერციულ ბანკსა და მსესხებელს შორის და დაფარვის პირობების ცვლილება არ არის გამოწვეული მსესხებლის ფინანსური სირთულეებით. ასეთი სახის რეფინანსირებას მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება: კონკურენციის გამო საპროცენტო განაკვეთების შემცირება, საბრუნავი საშუალებების განახლება, არსებული სესხების გაერთიანება-გადაფარვა მსესხებლის დამატებით დაფინანსებისას, მათ შორის, როდესაც ხდება დავალიანების ზრდა ახალი პროექტების დაფინანსების მიზნით და სხვა. რეფინანსირების მომენტისათვის მსესხებელი სრულად უნდა აკმაყოფილებდეს „სტანდარტული“ კატეგორიის პირობებს.

ბანკის მიერ რესტრუქტურირაციის ინსტრუმენტის გამოყენების საფუძველს წარმოადგენს: კრედიტის დაფარვაში კონტრაგენტის სიმძლევები გამოწვეული შემოსავლების შემცირებით, ხარჯების გაზრდით, მათ შორის გაუთვალისწინებელი ცხოვრებისეული პირობებით. უზრუნველყოფის დაკარგვა ან გაუფასურება. სეზონური და დარგობრივი რისკების ზრდა. კონტრაგენტის/თავდების/

დამგირავებლის (სამართლებრივი ფორმის ან ორგანოტრუქტურის ცვლილება), მესაკუთრეების, ხელმძღვანელების ცვლილება. ქონებრივი დავები, სასამართლო გარჩევები, პრობლემების წარმოქმნა საგადასახადო ორგანოებთან, სამართალდამცავ ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან და ა.შ..

რესტრუქტურისაციის ჩატარების, მისი მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე რესტრუქტურისაციის ჩატარების სქემა განისაზღვრება ბანკის რესტრუქტურისაციის პროცედურებით.

გაუფასურების შეფასება

გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალში მაშინ ხდება, როდესაც იგი გამოწვეულია ერთი ან მეტი მოვლენით, რომელიც დადგა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და რომელიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღებ მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ერთიანად (კოლექტიურად). ფინანსური აქტივის გაუფასურების დადგენისას ჯგუფი ითვალისწინებს ისეთ ძირითად ფაქტორებს, როგორცაა კონტრაგენტების ფინანსური სირთულეები, კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევა, ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის დაგვიანება და შესაბამისი უზრუნველყოფის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიმედოობა.

კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების გაუფასურების რეზერვის ცვლილებების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 13.9

	<i>კორპორატიული სესხები</i>	<i>საცალო სესხები</i>	<i>სულ</i>
2016 წ. 31 დეკემბერი (ათ.ლარი)			
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	24,778	10,950	35,728
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	(5,135)	5,795	660
საკურსო სხვაობები	1,896	374	2,270

ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	2,558	999	3,557
ჩამოწერილი თანხები	(300)	(10,769)	(11,069)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ.ლარი)	23,797	7,349	31,146
ინდივიდუალური გაუფასურება	16,196	193	16,389
კოლექტიური გაუფასურება	7,601	7,156	14,757
	23,797	7,349	31,146
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებული სესხების მთლიანი თანხა, მათი რეზერვის გამოქვითვამდე	19,931	772	20,703

ცხრილი 13.10

	<i>კორპორატიუ ლი სესხები</i>	<i>საცალო სესხები</i>	<i>სულ</i>
2015 წ. 31 დეკემბერი (ათ.ლარი)			
2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	16,980	8,490	25,470
წლის დანარიცხი/აღდგენა, ნეტო	2,185	3,807	5,992
საკურსო სხვაობები	4,757	899	5,656
ჩამოწერილი სესხების და ავანსების აღდგენა	856	1,492	2,348
ჩამოწერილი თანხები	–	(3,738)	(3,738)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,778	10,950	35,728
ინდივიდუალური გაუფასურება	19,143	697	19,840
კოლექტიური გაუფასურება	5,635	10,253	15,888
	24,778	10,950	35,728
ინდივიდუალურად შეფასებული და გაუფასურებული სესხების მთლიანი თანხა, მათი რეზერვის გამოქვითვამდე	20,025	1,450	21,475

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების კონცენტრაცია

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მსესხებელზე შეადგენდა 221,507 ათ.ლარს, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 22.96%-ია (2015 წ.: 183,023 ათ.ლარი ანუ 23.4%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 2,525 ათ. ლარის (2015 წ.: 15,221 ათ.ლარი) ოდენობით.

კლიენტებზე გაცემულ მთლიან სესხებში შედის ერთი უმსხვილესი მსესხებლის მიმართ გაცემული 34,532 ათ. ლარის კრედიტის ოდენობა, რაც მთლიანი პორტფელის 3.58%-ს შეადგენს (2015 წ.: 32,506 ათ. ლარი, ანუ 4.16%), რასაც ერიცხება წლიური 7.5% და ვადა ეწურება 2029 წლის აპრილში.

კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების მიხედვით კონცენტრაციის მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 13.11

კლიენტებზე გაცემული სესხები კლიენტების ტიპების მიხედვით:

	2016		2015	
	თანხა (ათ. ლარი)	წილი %-ში	თანხა (ათ. ლარი)	წილი %-ში
მეწარმე იურიდიული პირები	585,865	60.7%	474,353	60.6%
ფიზიკური პირები	375,022	38.9%	307,767	39.4%
სახელმწიფო ორგანიზაციები	4,023	0.4%	–	0.0%
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ	964,910	100.0%	782,120	100.0%

2016 წლისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ავანსების (რომლებიც ძირითადად საქართველოშია გაცემული) განაწილება დარგების მიხედვით იყო შემდეგი:

ცხრილი 13.12

	2016		2015	
	თანხა (ათ. ლარი)	წილი %-ში	თანხა (ათ. ლარი)	წილი %-ში
ფიზიკური პირები	375,022	38.9%	307,767	39.4%
ვაჭრობა და მომსახურება	334,637	34.7%	257,945	33.0%
უძრავი ქონების მშენებლობა	55,702	5.8%	57,818	7.4%
წარმოება	55,512	5.8%	58,292	7.5%
სოფლის მეურნეობა და საკვები		5.4%		5.3%
პროდუქტები	51,859		41,167	
ენერჯეტიკა	27,900	2.9%	9,291	1.2%
საფინანსო სექტორი	21,173	2.2%	18,094	2.3%
ტრანსპორტი და		1.2%		1.2%
ტელეკომუნიკაციები	11,131		9,044	
სხვა	31,974	3.3%	22,702	2.9%

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ

964,910	100.0%	782,120	100.0%
----------------	--------	----------------	--------

ბანკის აქტივების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 13.13

	2016				2015			
	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ	საქართველო	ეგთო	დსთ და სხვა ქვეყნები	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	106,358	19,530	190,448	316,336	134,803	57,189	75,784	267,776
მოთხოვნები ბანკებზე	141,921	132	122	142,175	84,937	208	90	85,235
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	922,465	6,192	5,107	933,764	738,933	4,146	3,313	746,392
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	80,513	–	–	80,513	55,587	–	–	55,587
სხვა ფინანსური აქტივები	4,265	–	136	4,401	804	–	–	804
სულ აქტივები	1,255,522	25,854	195,813	1,477,189	1,015,064	61,543	79,187	1,155,794

13.4.2. ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ზარალის წარმოქმნის რისკი ბანკის მიერ აქტივების ზრდისა და თავისი ვალდებულებების სრული მოცულობით შესრულების შეუძლებლობის შედეგად, რომელიც წარმოიშვა ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების დაუბალანსებლობის გამო.

ლიკვიდობის რისკი წარმოიქმნება ბანკის მიერ ოპერაციების განხორციელებისას, რომლებიც დაკავშირებული არიან ფულადი სახსრების ფაქტობრივ და პოტენციურ მოძრაობასთან.

ლიკვიდობის რისკების მართვას ახდენს ბანკის აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი. ლიკვიდობის ოპერატიულ მართვას ახორციელებს ხაზინა, ხოლო ლიკვიდობის რისკის მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას, ასევე ლიკვიდობის რისკის შიდა ლიმიტების სტრეს-ტესტების შემუშავებას და მონიტორინგს ახორციელებს რისკების სამმართველო.

ხაზინა და რისკების სამმართველო რეგულარულად ახდენენ კოლეგიალური ორგანოების ინფორმირებას ლიკვიდობის რისკის მდგომარეობის შესახებ.

რისკის შეფასების მეთოდები და სტრეს-ტესტირება

ლიკვიდობის ანალიზი და პროგნოზი მოიცავს ფულადი სახსრების შემოდინებისა და გადინების გაანგარიშებას, დაგეგმილი გარიგებების, კლიენტებიდან მოზიდული სახსრების შესაძლო პროლონგირების, „მოთხოვნამდე“ სახსრების არასტაბილური ნაწილის შესაძლო გადინების გათვალისწინებით.

ბანკის მდგრადობის სტრეს-ტესტირება ტარდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ლიკვიდობის პროგნოზულ მდგომარეობაზე, ასევე სახსრების მოზიდვის ბანკის დამატებით შესაძლებლობაზე. ამასთან, მოკლევადიანი კლიენტის ვალდებულებების სტაბილური ნაწილი განისაზღვრება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი მოცულობის დინამიკის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ვალუტების ჭრილში.

რისკის შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

ლიკვიდობის რისკის მართვის, შეზღუდვისა და კონტროლის ძირითად მეთოდებია:

- ლიკვიდობის რისკის ანალიზი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების კომპლექსის საფუძველზე.
- პროგნოზირების წარმოება (მათ შორის მოთხოვნამდე სახსრების გადინების ალბათობის პროგნოზირება), ლიკვიდობის მდგომარეობის სიტუაციური მოდელირება და სტრეს-ტესტირება.
- ლიკვიდობაზე გავლენის მქონე შიდა და გარე ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი, აღნიშნული ფაქტორების ცვლილების პროგნოზი.
- დროის ინტერვალების მიხედვით ლიკვიდობის შეუსაბამობის (დიბალანსის) სცენარული ანალიზის გათვალისწინებით გაანგარიშების მონიტორინგი, შემოდინებასა და გადინებას შორის დისპროპორციების გამოვლენის მიზნით.
- ანალიტიკური ანგარიშგების წარმოება ლიკვიდობის პროგნოზული მდგომარეობის შესახებ.

ბანკის ლიკვიდობის რისკის შეზღუდვა და შემცირება ხორციელდება აგრეთვე შემდეგი ძირითადი მეთოდების გამოყენებით:

- ლიკვიდური და მაღალლიკვიდური აქტივების მარაგების ნორმატივის დაწესებით, რომელიც განსაზღვრავს სახსრების იმ მინიმალურ ოდენობას, რომელიც საჭიროა ბანკის მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად.
- ლიკვიდური და მაღალლიკვიდური აქტივების მარაგის ფაქტობრივი გაანგარიშება.
- სადეპოზიტო ბაზის კონცენტრაციის კოეფიციენტის დაწესება, რომელიც ახასიათებს ბანკის დამოკიდებულებას მსხვილი კორპორატიული კლიენტებისაგან მიღებული სახსრებისადმი.
- ლიკვიდობის სავალდებულო ნორმატივების დაცვის კონტროლი, რომელიც დადგენილი აქვს ეროვნულ ბანკს.
- გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზაცია აქტივ-პასივების მართვასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართულია ლიკვიდობის რისკის მხარდასაჭერად იმ დონემდე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დაცულ იქნას ლიკვიდობის შიდა და გარე ნორმატივები.
- მოქმედების დეტალური გეგმის შემუშავება ბანკის მიერ ლიკვიდური სახსრების მობილიზების მიზნით ლიკვიდური სახსრების უკმარობის შემთხვევაში.
- სახაზინო ფასიანი ქაღალდების ფორმირება.

ხანგრძლივი პერიოდის (5 დღეზე ზევით) განმავლობაში შიდა და გარე ნორმატივების დარღვევის შემთხვევაში ბანკი იღებს შიდა პროცედურებით გათვალისწინებულ ზომებს, მათ შორის საკითხის გადაუდებელი განხილვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

ლიკვიდობის რისკის შეფასების მეთოდების ეფექტურობის უზრუნველყოფა

ლიკვიდობის რისკის ანალიზის კვალობაზე ბანკი ახდენს ლიკვიდობის რისკის მეთოდოლოგიის აქტუალიზებას, რომელიც გულისხმობს შემდეგ მიდგომებს:


- სახაზინო პრტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების ხარისხის მიმართ მოთხოვნების ფორმირებას.
- მოთხოვნამდე ფულადი სახსრების გადინების მოდელის აგებას.
- მმართველობითი ანგარიშგების დროულ მომზადებას, რომელიც ასახავს მიმდინარე და პროგნოზული ლიკვიდობის მდგომარეობას.

ლიკვიდობის შესახებ შიდა ანგარიშგება

ლიკვიდობის შესახებ შიდა ანგარიშგებას ამზადებს რისკების სამმართველო, ხოლო საზედამხედველო მიზნებისათვის ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში – ანგარიშგების სამმართველო.

ქვემოთ მოყვანილია ლიკვიდობის რისკის შიდა ნორმატივების შესრულების დინამიკა:


გრაფიკი 13.1



როგორც ცხრილიდან ჩანს, ლიკვიდური აქტივების და მაღალლიკვიდური აქტივების მარაგების დონე ნორმატივის ფარგლებშია, ხოლო ბოლო პერიოდში აშკარად გამოხატულია ნორმატივების მნიშვნელოვანი გადაჭარბება.

საზედამხედველო ლიკვიდობის კოეფიციენტის შესრულების დინამიკა 2015-2016 წლების მანძილზე წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

გრაფიკი 13.2



ქვემოთ წარმოდგენილია აქტივები და ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით.

გეპ-ის ანალიზის წარდგენისა და ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის შემდეგი ძირითადი პრინციპები ეფუძნება საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდების ერთობლიობასა და ბანკის პრაქტიკას:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს მაღალი ლიკვიდურობის აქტივებს და კლასიფიცირებულია როგორც „მოთხოვნამდე, 1 თვემდე ან ნაკლები“.

- ▶ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები, გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ, სხვა აქტივები, ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სხვა ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული ვალი და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია გასვლების ანალიზის ცხრილში, ხელშეკრულებების მიხედვით დარჩენილი ვადების მიხედვით.

კლიენტთა დეპოზიტების დივერსიფიცირება დეპოზიტორთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით და ჯგუფის გამოცდილება მიუთითებს, რომ აღნიშნული ანგარიშები და დეპოზიტები წარმოადგენს დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს, აქედან გამომდინარე ისინი განთავსებულია გეპ-ის ანალიზის ცხრილში მითითებული სახსრების გადინების სავარაუდო ვადის მიხედვით ბანკის მიერ წინა პერიოდების ისტორიული სტატისტიკური მონაცემისა და მიმდინარე ანგარიშების ნაშთების „სტაბილურ ნაწილის“ მიმართ არსებული ვარაუდის საფუძველზე.

ცხრილი 13.14

2016 წლის 31		1	3	6				
დეკემბრის		<i>თვიდა</i>	<i>თვიდა</i>	<i>თვიდა</i>				
მდგომარეობით	<i>მოთხოვნ</i>	<i>5</i>	<i>5</i>	<i>5</i>	1			
(ათ.ლარი)	<i>ამდე და</i>	3	6	1	<i>წელზე</i>	<i>ვადაგა</i>		
	1	<i>თვემდ</i>	<i>თვემდ</i>	<i>წლამდ</i>	1	<i>დაცილ</i>	<i>უვად</i>	
	<i>თვემდე</i>	1	1	1	<i>მეტი</i>	<i>ებული</i>	0	<i>სულ</i>
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	316,336	-	-	-	-	-	-	316,336
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	42,446	9,769	22,268	22,545	45,147	-	-	142,175
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	43,109	103,487	95,044	153,966	5	5,733	-	933,764
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- გასაყიდად გამიზნული	37,958	19,686	7,357	9,131	6,327	-	54	80,513
სხვა ფინანსური აქტივები	3,859	315	-	131	96	-	-	4,401
სულ	443,708	133,257	124,669	185,773	583,99	5,733	54	1,477,1

					<u>5</u>			<u>89</u>
ფინანსური								
ვალდებულებები								
ვალდებულებები								
ბანკებისა და								
საერთაშორისო								
ფინანსური					104,54			
ინსტიტუტების მიმართ	174,844	10	6,772	-	9	-	-	286,175
ვალდებულებები								
კლიენტების წინაშე	209,003	82,680	48,408	107,035	8	-	-	831,274
გამომწვევული სავალო								
ფასიანი ქაღალდები	2,666	4,239	9,023	5,966	9,796	-	-	31,690
სხვა ნასესხები								
სახსრები	41,491	17,115	12,561	11,424	56,431	-	-	139,022
სუბორდინირებული								
ვალი	563	-	-	-	37,196	-	-	37,759
სხვა ფინანსური								
ვალდებულებები	10,147	2,272	4,302	944	80	-	-	17,745
					592,20			1,343,6
სულ	438,714	106,316	81,066	125,369	0	-	-	65
წმინდა	4,994	26,941	43,603	60,404	(8,205)	5,733	54	133,524
კუმულაციური								
ვადანობის გეჰი	4,994	31,935	75,538	135,942	7	133,470	4	-

2015 წლის 31		1	3	6				
დეკემბრის		თვიდა	თვიდა	თვიდა				
მდგომარეობით	მოთხოვნ	5	5	5	1			
(ათ.ლარი)	ამდე და	3	6	1	წელზე	ვადაგა		
	1	თვემდ	თვემდ	წლამდ	ე	დაცილ	უვად	
	თვემდე	ე	ე	ე	მეტი	ეზული	ო	სულ
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	267,776	-	-	-	-	-	-	267,776
მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	49,608	65,105	85,005	121,193	4	4,047	-	746,392
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- გასაყიდად გამიზნული	9,983	19,424	18,860	1,385	5,881	-	54	55,587
სხვა ფინანსური აქტივები	782	13	-	8	1	-	-	804
					450,57			1,155,7
სულ	347,915	96,636	111,391	145,173	8	4,047	54	94

ფინანსური ვალდებულებები								
ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	134,265	157	-	90,590	-	-	-	225,012
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	116,986	105,307	101,890	65,596	6	-	-	669,605
გამომშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	138	81	4,643	380	-	-	5,242
სხვა ნასესხები								
სახსრები	52,145	3,157	1,112	8,880	49,441	-	-	114,735
სუბორდინირებული ვალი	454	-	-	-	32,875	-	-	33,329
სხვა ფინანსური	3,377	2,887	3,815	1,418	66	-	-	11,563

ვალდებულებები

					362,58			1,059,4
სულ	307,227	111,646	106,898	171,127	8	-	-	86
წმინდა	40,688	(15,010)	4,493	(25,954)	87,990	4,047	54	96,308
კუმულაციური ვადიანობის გევი	40,688	25,678	30,171	4,217	92,207	96,254	96,308	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. ცხრილში მოცემულია არადისკონტირებული ვალდებულებები, რომლებიც ექვემდებარებიან სახელშეკრულებო ვადაში დაფარვებს, თუმცა, ბანკი მოელის, რომ მეანაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება.

ცხრილი 13.16

<i>არაწარმოებული ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)</i>	<i>მოთხოვნ ამდენ ან 1 თვემდე</i>	<i>1 -3 თვე</i>	<i>3 -6 თვე</i>	<i>6 თვიდან - 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ვალდებულებები ბანკების მიმართ	175,786	913	7,725	983	110,038	295,445
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	545,355	79,015	48,638	110,713	59,574	843,295
სავალო ფასიანი ქაღალდები	2,673	4,276	9,197	6,207	11,687	34,040
სხვა ნასესხები სახსრები	41,543	17,580	13,249	12,605	61,218	146,195
სუბორდინირებული სესხი	757	-	740	1,505	44,397	47,399
სხვა ვალდებულებები	10,147	2,272	4,302	944	80	17,745
არაწარმოებული ვალდებულებების სახით გადასახდელი მთლიანი თანხა	776,261	104,056	83,851	132,957	286,994	1,384,119

დაფარული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები						
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების დადებითი სამართლიანი ღირებულება (შემოდინება)	(566)	(2,795)	-	-	-	(3,361)
გადინება	559	2,660	-	-	-	3,219

დაფარული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები						
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების უარყოფითი სამართლიანი ღირებულება (შემოდინება)	(11,825)	(5,134)	–	–	–	(16,959)
გადინება	11,917	5,293	–	–	–	17,210

<i>არაწარმოებული ვალდებულებები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)</i>	<i>მოთხოვნ ამდე ან 1 თვემდე</i>	<i>1 -3 თვე</i>	<i>3 -6 თვე</i>	<i>6 თვიდან – 1 წლამდე</i>	<i>ცხრილი 13.17</i>	
					<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ვალდებულებები ბანკების მიმართ	134,339	721	846	90,909	–	226,815
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	403,640	84,579	87,582	67,083	37,330	680,214
სავალო ფასიანი ქაღალდები	–	139	83	4,884	427	5,533
სხვა ნასესხები სახსრები	52,231	3,334	1,514	9,850	53,870	120,799
სუბორდინირებული სესხი	609	–	603	1,212	41,042	43,466
სხვა ვალდებულებები	3,377	2,887	3,815	1,418	66	11,563
არაწარმოებული ვალდებულებების	594,196	91,660	94,443	175,356	132,735	1,088,390

**სახით გადასახდელი მთლიანი
თანხა**

**დაფარული წარმოებული
ფინანსური ინსტრუმენტები**
წარმოებული ფინანსური
ინსტრუმენტების დადებითი
სამართლიანი ღირებულება
(შემოდინება)

(395)	-	-	-	-	(395)
გადინება	393	-	-	-	393

**დაფარული წარმოებული
ფინანსური ინსტრუმენტები**
წარმოებული ფინანსური
ინსტრუმენტების უარყოფითი
სამართლიანი ღირებულება

		(13,085			
(შემოდინება)	(39,253)	-	-	(52,338)
გადინება	39,426	13,129	-	-	52,555

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საკონტრაქტო ვადის მიხედვით ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობას:

ცხრილი 13.18

	<i>მოთხოვნ ამდე ან 1 თვემდე</i>	<i>1 თვიდან 3 თვემდე</i>	<i>3 თვიდან 6 თვემდე</i>	<i>6 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
2016	20,730	17,004	15,866	52,127	54,101	159,828
2015	35,104	16,655	24,155	43,783	50,653	170,350

13.4.3. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის ბანკის ფინანსური შედეგების გაუარესების რისკი აქტუების/ვალდებულებების ღირებულების არახელსაყრელი ცვლილების შედეგად საბაზრო მაჩვენებლების რისკ-ფაქტორების გავლენით (ისეთი, როგორც არის სავალუტო კურსები, საკრედიტო სპრედები, აქციების კოტირება და საფონდო ინდექსები და სხვა).

ბანკის მიერ აღებული რისკების ხასიათისა და მათი მართვის მიდგომებიდან გამომდინარე, ბანკის ოპერაციები იყოფა სავაჭრო წიგნისა და საბანკო წიგნის ოპერაციებად.

სავაჭრო წიგნის ოპერაციებს განეკუთვნება ოპერაციები, რომლებიც ტარდება მოგების მისაღებად მათი გადაფასების ან სხვა სავაჭრო ოპერაციების ჰეჯირებით, ასევე მათი მეშვეობით მიღებული ფინანსური შედეგი, ასევე სავალუტო ოპერაციები, რომელიც ფორმირებულია კლიენტებთან ოპერაციების შედეგად.

საბანკო წიგნის ოპერაციებს (სხვანაირად, არასავაჭრო ოპერაციებს) მიეკუთვნება ოპერაციები, რომლებიც არ ექვემდებარებიან საბაზრო გადაფასებას (აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით) და (ან) რომელთა საბაზრო გადაფასება დამოკიდებული არ არის საბაზრო რისკ-ფაქტორებზე.

საბაზრო რისკების აღებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა და ფუნქციები გაწერილია ბანკის შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. ბანკის აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი ახდენს საბაზრო რისკის მაჩვენებლების კონტროლს. საბაზრო რისკების წარმმართველი სტრუქტურული ერთეულს წარმოადგენს ხაზინა. რისკების სამმართველოს ევალება საბაზრო რისკების ნორმატიულ-მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, ლიმიტების განსაზღვრა და მისი შესრულების კონტროლი.

რისკის შეფასების მეთოდები, სტრეს-ტესტირება

საბაზრო რისკების შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის შეფასება.

- საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით პროცენტული რისკის შეფასება.
- სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით სავალუტო რისკის შეფასება.

სავაჭრო ოპერაციების მიხედვით საბაზრო რისკის შეფასების ძირითადი მაჩვენებლებია:

- დანაკარგების რისკის შესაფასებლად – სავაჭრო წიგნის პოზიციის სტრეს-ტესტირება შესაბამისი სცენარების (ზომიერი, კრიზისული) რეალიზაციით სტრეს-კოეფიციენტების საფუძველზე.
- სავაჭრო წიგნის ფინანსური შედეგების ვოლატილობის შესაფასებლად – მაჩვენებელი VaR (Value-at-Risk), რომელიც იანგარიშება ისტორიული მოდელირების მეთოდით.
- სავაჭრო ოპერაციების მიხედვით კალენდარული წლის დაწებიდან დაგროვილი ფაქტობრივი დანაკარგების შესაფასებლად – წლის დასაწყისიდან დაგროვილი ზარალი სავაჭრო წიგნის მიხედვით (Stop-loss).

ძირითადი პარამეტრები, რომლითაც ფასდება საბანკო წიგნის პროცენტული რისკი, არის:

- ბანკის პროცენტული პოზიციის მგრძობელობა პროცენტული განაკვეთის ცვლილებასთან, რომელიც შეფასდება პროცენტული პოზიციის წმინდა წარმოებული ღირებულების მეშვეობით და წმინდა პროცენტული შემოსავლებით შემოსავლიანობის მრუდის არახალსაყრელი პარალელური გადახრის დროს 100 საბაზისო პუნქტით.
- ეკონომიკური კაპიტალი პროცენტული რისკის დასაფარად – პროცენტული პოზიციის წმინდა წარმოებული ღირებულების შეფასება პროცენტული განაკვეთის შესაძლო არახელსაყრელი ცვლილების დროს.

სავალუტო რისკის რაოდენობრივი შეფასება სტრუქტურული ღია სავალუტო პოზიციის (ღსპ) მიხედვით ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- მეთოდი VaR, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სავალუტო პოზიციის ღირებულების ცვლილების ფინანსურ შედეგზე მაქსიმალურად შესაძლო (მოცემული ნდობის ინტერვალით, Confidence interval) ნეგატიური გავლენა.
- ეკონომიკური კაპიტალი სავალუტო რისკის დასაფარად სტრუქტურული ღსპ მიმდინარე მნიშვნელობიდან და ჰიპოთეტური სტრეს-სცენარიდან გამომდინარე.

რისკის შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის მათვის მიზნით ბანკს შეუძლია დააწესოს ლიმიტები და გამაფრთხილებელი ორიენტირები.

რამდენადაც მიმდინარე ეტაპზე ბანკს არ გააჩნია და უახლოეს მომავალში არ გეგმავს სავაჭრო წიგნის მიხედვით არსებითი სახის ოპერაციების წარმოებას, სავაჭრო წიგნის ოპერაციების მიხედვით ლიმიტები და გამაფრთხილებელი ორიენტირები არ წესდება (Stop-loss, VaR, Moderate Stress-test).

პროცენტული რისკის მართვის მიზნით ბანკი ახდენს პროცენტული განაკვეთის ცვლილების მიმართ წმინდა პროცენტული შემოსავლების მგრძობელობის გაანგარიშებას.

სავალუტო რისკის მართვას ბანკი ახდენს მიღებული შიდა ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, უზრუნველყოფს რა აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შესაბამისობას ვალუტების ჭრილში და ღია სავალუტო პოზიციის შენარჩუნებას დადგენილი ლიმიტების ფარგლებში.

მონიტორინგის პროცედურები

აღებული საბაზრო რისკების დონის მონიტორინგი ხორციელდება ლიმიტების სისტემის მეშვეობით.

პრუდენციული ნორმატივების კონტროლს ღია სავალუტო პოზიციის მიხედვით ახდენს უშუალოდ ხაზინა.

საბაზრო რისკის მიმდინარე მდგომარეობა

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ბანკის შემოსავლიანობის მგრძობელობას საპროცენტო განაკვეთის მოსალოდნელ ცვლილებაზე, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია.

შემოსავლიანობის მგრძობელობა მიუთითებს იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე, იმ დაშვებით, რომ ადგილი აქვს შემოსავლიანობის მრუდის პარალელურ გადახრას.

<i>ვალუტა</i>	<i>ცხრილი 13.19</i>	
	<i>საბაზისო</i>	<i>დასაბეგრი</i>
	<i>ერთეულების</i>	<i>მოგების</i>
	<i>ზრდა</i>	<i>მგრძობელობა</i>
	<i>2016 წ.</i>	<i>ა</i>
	<i>2016 წ.</i>	<i>2016 წ. (ათ.</i>
		<i>ლარი)</i>
აშშ დოლარი	0.20%	(89)
აშშ დოლარი	(0.20%)	89
ლარი	1.25%	(47)
ლარი	(1.25%)	47

ცხრილი 13.20

დასაბეგრი
მოგების

მგრძნობელობ

საბაზისო
ერთეულების

ზრდა

2015 წ.

2015 წ.

(ათ.ლარი)

ვალუტა

აშშ დოლარი	0.17%	(87)
აშშ დოლარი	(0.17%)	87
ლარი	2.50%	(162)
ლარი	(2.50%)	162

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომელთა მიმართ ბანკს აქვს მნიშვნელოვანი პოზიციები არასავაჭრო მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე საპროგნოზო ფულადი ნაკადების მიხედვით 2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზის დროს ფასდება ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი, როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა დანარჩენი პირობა უცვლელია (სავალუტო კურსის მიმართ მგრძნობიარე ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბაზრო ღირებულების გამო). ქვემოთ ცხრილში მოცემული უარყოფითი სიდიდე ასახავს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ან მთლიანი შემოსავლების ანგარიშგებაში პოტენციურ წმინდა შემცირებას, ხოლო დადებითი სიდიდე ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

ცხრილი 13.21

<i>სავალუტო</i>	<i>ეფექტი</i>	<i>სავალუტო</i>	<i>ეფექტი</i>
<i>კურსის</i>	<i>დასაბეგრი</i>	<i>კურსის</i>	<i>დასაბეგრი</i>
<i>პროცენტულ</i>	<i>მოგებაზე</i>	<i>პროცენტუ</i>	<i>მოგებაზე</i>
<i>ლი</i>	<i>2016 წ.</i>	<i>ლი</i>	<i>2016 წ.</i>
<i>ზრდა</i>		<i>ზრდა</i>	
<i>2016 წ.</i>		<i>2015 წ.</i>	

ვალუტა

აშშ დოლარი	14%	4,206	15%	3,478
ევრო	17.5%	30	20%	(6)
რუსული რუბლი	30%	21	20%	139

ცხრილი 13.22


<i>სავალუტო</i>	<i>ეფექტი</i>	<i>სავალუტო</i>	<i>ეფექტი</i>
<i>კურსის</i>	<i>დასაბეგრი</i>	<i>კურსის</i>	<i>დასაბეგრი</i>

ვალუტა

	პროცენტული შემცირება 2015 წ.	მოგებაზე 2015 წ.	პროცენტული შემცირება 2015 წ.	მოგებაზე 2015 წ.
აშშ დოლარი	(7%)	(2,103)	(11%)	(2,551)
ევრო	(10.5%)	(18)	(16%)	5
რუსული რუბლი	(15%)	(11)	(30%)	(209)

ქვემოთ მოყვანილია ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დაცვის დინამიკა 2015-2016 წლებში:

გრაფიკი 13.3



13.4.4. საოპერაციო რისკები

საოპერაციო რისკი არის ბანკის ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან უუნარო შიდა პროცესებითა და სისტემებით, პერსონალის მიერ მათი დარღვევით ან გარე ფაქტორების ზემოქმედებით. მოცემული განმარტება მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ გამორიცხავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს.

საოპერაციო რისკი დამახასიათებელია ყველა პროდუქტისათვის, საქმიანობის მიმართულებების, პროცესებისა და სისტემებისათვის. საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა წარმოადგენს რისკების მართვის ძირითად შემადგენელს ბანკის რისკების მართვის პროგრამაში.

საოპერაციო რისკების მართვის სისტემა აუცილებელია ზარალის აცილებისა და მინიმიზაციისათვის, რომელიც შეიძლება მიაღწეს ბანკს რისკის რეალიზაციის შედეგად.

საოპერაციო რისკის მართვა ხორციელდება შემდეგი მიზნებით:

- საოპერაციო რისკის მისაღები დონის გამოვლენა, შეფასება და განსაზღვრა.
- საოპერაციო რისკის მისაღები დონის მხარდასაჭერად დროული ზომების რეალიზაციის უზრუნველყოფა.
- საოპერაციო რისკის მოვლენების რეალიზაციიდან ბანკის ფინანსური შედეგების წარმოქმნის ალბათობის შემცირება.

- საოპერაციო რისკის მართვის ეფექტურობაზე კონტროლი.
- ბანკის უსაფრთხოების, საიმედოობის, კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
- ბანკში გამოყენებული სისტემების, პროცესებისა და ტექნოლოგიების სრულყოფა.
- კანონმდებლობასთან და საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (მათ შორის საოპერაციო რისკის მიხედვით კაპიტალის ადეკვატურობის ნაწილში).

ორგანოებისა და პირების უფლებამოსილება

ბანკის უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციაში შედის საოპერაციო რისკების მართვის ნორმატიულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა, საკონტროლო მნიშვნელობების დაწესება, თვითშეფასების შედეგების დამტკიცება, საოპერაციო რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მეთოდების ეფექტურობის მონიტორინგი, წინადადებების განხილვა, რომლებიც მიმართულია საოპერაციო რისკებზე რეაგირების ღონისძიებათა ფარგლებში (მინიმუმაცია, რისკის აღება, თავიდან აცილება, გადაცემა), ანგარიშების მოსმენა საოპერაციო რისკების მდგომარეობის შესახებ.

საოპერაციო რისკების მართვის ქვედანაყოფი შეიმუშავებს და ნერგავს საოპერაციო რისკების მართვის მეთოდოლოგიას, პროცედურებს და ეფექტურ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, ახდენს ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას საოპერაციო რისკების მართვის ნაწილში, ორგანიზებას უწევს რისკის შემთხვევებისა და საოპერაციო რისკის ინდიკატორების შეგროვებას, კონტროლს და ანალიზს, ინიცირებას ახდენს იმ ღონისძიებების დაგეგმვას და რეალიზაციას, რომელიც საჭიროა საოპერაციო რისკების შესამცირებლად, ეწევა საოპერაციო რისკების ანალიზს და შეფასებას, ორგანიზაციას უწევს პროფესიონალური საქმიანობის დაზღვევას, ანგარიშგების წარმოებას საოპერაციო რისკების თაობაზე, ბიზნეს-უწყვეტობის სისტემის ფუნქციონირებას და სხვა.

რისკის შეფასების მეთოდები

საოპერაციო რისკების შეფასების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს: საოპერაციო რისკის შესახებ მონაცემების შეკრება, საოპერაციო რისკების ძირითადი ინდიკატორების მონიტორინგი. საოპერაციო რისკების თვითშეფასება, საოპერაციო რისკების სცენარული ანალიზი.

ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიდგომები და სცენარები, მათ შორის სტრესული.

რისკების შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

საოპერაციო რისკების დონის კონტროლის მიზნით გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიდგომები:

- ბანკის ორგანოების, ქვედანაყოფებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯნა, მათი უფლებამოსილებათა ლიმიტირება, გადაწყვეტილებების მიღების კოლეგიალობის, ორმაგი კონტროლის მექანიზმების გამოყენება.

- საინფორმაციო უსაფრთხოების ფარგლებში ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვა, ინფორმაციის მარვალსაფეხურიანი დაცვის გამოყენება.
- მატერიალურ აქტივებთან წვდომის შეზღუდვა.
- საოპერაციო რისკების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ბიზნეს-პროცესებთან, მათ შორის გარე ორგანიზაციების მიერ მათ განხორციელებასთან (აუტსორსინგი).
- პერსონალთან დაკავშირებული რისკების შემცირება, მათი შერჩევის კრიტერიუმების დაწესებით და წინასწარი შემოწმების ჩატარება, პერსონალის სწავლებისა და წვრთნის ღონისძიებების გატარება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება.
- პოტენციური საოპერაციო რისკების გამოვლენა და შეფასება საქმიანობის ახალი მიმართულებების, პროდუქტების, მომსახურების, პროცესებისა და სისტემის დანერგვამდე (განვითარებამდე).

საოპერაციო რისკების რეაგირების ფარგლებში ფინანსური და არაფინანსური შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, ბანკის მოქმედებები გულისხმობს:

- რისკების მინიმიზაციას (მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა დამატებითი საკონტროლო პროცედურები, კონტროლის ძირითადი ინდიკატორები, სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები).
- რისკის აღებას (გამოვლენილი რისკის აღიარება ჩატარებული ანალიზი შემდეგ).
- რისკის არიდებას (ოპერაციებზე, ბიზნეს-პროცესებზე უარის თქმა, როდესაც შესაძლო დანაკარგების ოდენობა არის კრიტიკული ბანკისათვის, რისკის შემცირების ღონისძიებები არის არაეფექტური).
- რისკის გადაცემა (რისკის დაზღვევა)– პროფესიული საქმიანობის დაზღვევა რისკებისა, რომელთა მართვა ვერ ექცევა ბანკის მართვის არეალში და გადის მისი უშუალო კონტროლიდან.

მონიტორინგის პრინციპები

საოპერაციო რისკების მონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება საოპერაციო რისკების სასურველ დონეზე შენარჩუნებაზე, დაწესებული მაჩვენებლების დაცვაზე კონტროლი.

საოპერაციო რისკის მარეგულირებელი დოკუმენტები

საოპერაციო რისკები იდენტიფიცირდება, იზომება, მონიტორირდება, კონტროლდება სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და მიდგომების გამოყენებით. ერთობლივად მოცემული ინსტრუმენტები და ღონისძიებები უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკთან დაკავშირებულ შესაძლო დანაკარგების მონიტორინგს და მის შესაბამისობას დამტკიცებულ/აღებულ რისკ-აპეტიტთან.

საოპერაციო რისკების მართვის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მუშავდება შემდეგი შიდა მარეგულირებელი და მეთოდური დოკუმენტები (მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება):

- დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ რისკის მოვლენების შესახებ მონაცემების შეკრების წესს.
- დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საოპერაციო რისკების შეფასების, საოპერაციო რისკების სცენარული ანალიზის ჩატარების წესს.
- დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საოპერაციო რისკების KRI (ძირითადი რისკების ინდიკატორები) მონიტორინგის წესს.
- საოპერაციო რისკების ქვეშ კაპიტალის დაგეგმვის მეთოდის დასაბუთებას.

რისკის მოვლენები და მისი შედეგების შესახებ მონაცემთა შეკრება წარმოადგენს მნიშვნელოვანი და აუცილებელი ინფორმაციის კონსოლიდაციის პროცედურას რისკის მოვლენების გავლენისა და საკონტროლო პროცედურების ეფექტიანობის შესაფასებლად მატერიალიზებული საოპერაციო რისკის მიმართ.

რისკის მოვლენების შესახებ მონაცემთა შეკრების მიზნებისათვის ბანკში გამოიყენება ავტომატიზებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების მართვას. რისკის შემთხვევების შესახებ მონაცემთა შეკრების პროცესის ორგანიზაციისა და კონტროლის ჯგუფის სტანდარტები ასახულია ბანკის ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებში.

რისკისა და კონტროლის ძირითადი ინდიკატორები (KRI)

საოპერაციო რისკების ძირითადი ინდიკატორების ფუნქციონირების მიზანია საოპერაციო რისკების მაჩვენებლების აუცილებელი და საკმარისი დონის არსებობა, დადგენილი ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების კონტროლი და ანალიზი, საოპერაციო რისკების მიზნით ესკალაცია და გადაწყვეტილებების დროული მიღება, მონიტორინგისა და ანალიზის შედეგების დაინტერესებულ ორგანოებამდე და პირებამდე დაყვანა.

KRI მონიტორინგის შედეგების მიხედვით ბანკის რისკების მართვის ქვედანაყოფი ახდენს საოპერაციო რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშების ფორმირებას. თუ KRI დინამიკის მონიტორინგისა და ანალიზის შედეგად ბანკში გამოვლინდა KRI ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ტარდება მიზეზების ანალიზი და შესაბამისი საოპერაციო რისკის მინიმიზაციის ღონისძიებათა გეგმები.

სცენარული ანალიზი

სცენარული ანალიზი ტარდება სავალდებულო სცენარებით, რომლებიც შემუშავებულია ვეტებე–სათაო ბანკის მიერ და დამტკიცებულია ჯგუფის საკრედიტო რისკების მართვის კომიტეტის მიერ. დაშვებულია სცენარული ანალიზის ჩატარება ბანკის დონეზე შემუშავებული ლოკალური სცენარებით.

რისკ-აპეტიტი საოპერაციო რისკების ნაწილში

რისკ-აპეტიტი წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს რისკების აგრეგირებულ დონეს, რომლის მიღება შეუძლია და/ან სურს ბანკს დაინტერესებული პირების¹ მოთხოვნების გათვალისწინებით დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

საოპერაციო რისკის ნაწილში რისკ-აპეტიტი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც დანაკარგების ოდენობა, რომელსაც ბანკი მზად არის მიიღოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მქონე განსაზღვრული სტრატეგიისა და ძირითადი ფაქტორების შესაბამისად. საოპერაციო რისკის საკონტროლო მაჩვენებელი განისაზღვრება ჯგუფის დონეზე და ალოცირდება ბანკზე დადგენილი წესის შესაბამისად. საოპერაციო რისკის რისკ-აპეტიტის მაჩვენებლის კონტროლი ხორციელდება ბანკის რისკ-აპეტიტის მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.


საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა

ბანკის საქმიანობის უწყვეტობის მართვის სისტემა წარმოადგენს ერთიან პროცესს საოპერაციო რისკებს მართვის შემადგენლობაში, რომელიც წარმოადგენს ეფექტური რეაგირების სტრუქტურის აგების საფუძველს გადაულახავი ძალის მქონე რისკების რეალიზაციის შემთხვევაში და უზრუნველყოფს ბანკის კრიტიკული ბიზნეს-მიმართულებების საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირების ორგანიზაციას.

ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკების ურთიერთქმედების საერთო წესი გაუთვალისწინებელი და საგანგებო სიტუაციების წარმოქმნისა და აღმოფხვრის დროს და ჩვეულ რეჟიმში ბანკის ფუნქციონირებაზე დაბრუნების დროს, ასევე ბანკის ბიზნესის უწყვეტობის მართვის პროცესის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია ბანკის ბიზნეს უწყვეტობის შესაბამის დოკუმენტებში.

ქვემოთ წარმოდგენილია გრაფიკი, რომელიც წარმოდგენას იძლევა ბანკის მიერ განვილი 7 წლის მანძილზე პოტენციური და წმინდა საოპერაციო დანაკარგების დინამიკას.

გრაფიკი 13.4



13.4.4.1. სამართლებრივი რისკი

სამართლებრივი რისკი არის ბანკის დანაკარგების წარმოქმნის რისკი: ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულების მოთხოვნების შეუსრულებლობის, საქმიანობის განხორციელებისას სამართლებრივი შეცდომების დაშვების (არასწორი იურიდიული კონსულტაცია ან დოკუმენტების არასწორი შედგენა, მათ შორის სასამართლოში საკამათო საკითხების განხილვისას). სამართლებრივი სისტემის ნაკლოვანებების (საკანონმდებლო კაზუსტიკა, საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ცალკეული საკითხების დარეგულირების თაობაზე სამართლებრივი ნორმების უქონლობა). კონტრაგენტების მიერ ნორმატიული სამართლებრივი აქტების, ასევე დადებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევის შედეგად.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მიუხედავად იმისა, რომ იმყოფება ევროზონის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესში, წარმოადგენს ძნელად აღსაქმელს და გააჩნია განსხვავებული ინტერპრეტაცია. ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკა წინააღმდეგობრივია, რაც იწვევს ისეთი სამართლებრივი აქტების მიღებას, რომელიც ხელს უშლის მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური დავების პრაქტიკა არცთუ იშვიათად არის გაჭიანურებული და გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაშიც. საგადასახადო კანონმდებლობა გამოირჩევა არაერთგვაროვნებით მისი დებულებების გაგების კუთხით. გარდა ამისა, ნაკლების საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება და გამჭირვალობა, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს საგადასახადო რისკების ზრდასთან და გამოიწვიოს ემიტენტის გაუთვალისწინებელი ხარჯების ზრდა. ამასთან ერთად არსებობს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების რისკი, რომელმაც შეიძლება გააუარესოს საგადასახადის გადამხდელის ამა თუ იმ ჯგუფის მდგომარეობა.

13.4.5. მოდელური რისკი

მოდელური რისკი არის ზარალის წარმოქმნის რისკი სისტემებიდან და მიდგომებიდან, რომლებიც იყენებენ სტატისტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და მათემატიკურ თეორიებს, ტექნიკას და ალბათობას შემავალი ინფორმაციის რაოდენობრივ შეფასებაში გადასაყვანად.

მოდელი შესდგება სამი კომპონენტისაგან: შემავალი ინფორმაცია, რომელიც გულისხმობს როგორც დაშვებებს, ასევე მონაცემებს. გამოსათვლელ კომპონენტებს, რომელიც შემავალ ინფორმაცია გარდაქმნის რაოდენობრივ შეფასებად და ანგარიშგებად, რომელსაც გადაყავს შეფასება გადაწყვეტილების მისაღებ ინფორმაციად.

ამგვარი მოდელები შეიძლება გამოყენებული იქნას რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად, ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებების, შიდა ლიმიტების დაწესების და სხვა მიმართულებებში.

ვინაიდან მოდელები არასოდეს არ არის სრულყოფილი, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნა მოდელის ხარისხის შესაბამისი მაჩვენებლები. მოდელის გამოყენება აუცილებლად იწვევს მოდელურ რისკს, რომელსაც მოსდევს განსხვავებული რეზულტატი იმ გადაწყვეტილებებიდან, რომელიც ეფუძნება მოდელის არასწორ ან არასწორად ინტერპრეტირებულ შედეგებს. მოდელურ რისკს შეუძლია

გამოიწვიოს ფინანსური დანაკარგები, მიგვიყვანოს არასწორი სტრატეგიის არჩევამდე ან გამოიწვიოს რეპუტაციის დანაკარგები. ძირითადი მოდელური რისკი შეიძლება წარმოიშვას ორი მიზეზით:

- მოდელი შეიძლება შეიცავდეს ფუნდამენტალურ შეცდომებს და განახორციელოს გაანგარიშებები, რომლებიც არაკორექტულია დასმული ამოცანის მიმართ. შეცდომები შეიძლება ხდებოდეს მოდელის ყველა სტადიაზე, შემუშავებიდან დაწერვამდე. გარდა ამისა, მოდელში გამოყენებულ ვარაუდებს, დაშვებებს, გამარტივებებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მოდელის ხარისხზე. დაბოლოს, შედეგების ხარისხი დამოკიდებულია თვით შემავალი ინფორმაციის ხარისხზე.
- მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნას არადანიშნულებით. ძალზე კარგი მოდელიც კი, რომელიც იძლევა ზუსტ შეფასებებს დასმული ამოცანების შესაბამისად, შეიძლება მიგვიყვანოს მაღალ მოდელურ რისკთან, თუ იგი გამოყენებული იქნება არადანიშნულებისამებრ.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ პირები, რომლებიც მიმართავენ მოდელის გამოყენებას ამა თუ იმ მიმართულებით, ესოდეთ მოდელის შეზღუდვები, რათა თავიდან იქნას აცილებული მოდელის არადანიშნულებისამებრ გამოყენება.

ბანკის ამოცანა შეადგენს მოახდინოს მოდელური რისკის იდენტიფიცირება და შეაფასოს შესაძლო ზიანი. მოდელური რისკის მართვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს მოდელის ეფექტიანი შემოწმება, ანუ კრიტიკული ხედვა მიზნებისა და ინფორმირებულ პირთა ხედვა, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ შეზღუდვები და ვარაუდები და მოახდინონ შესაბამისი ცვლილებები. ეფექტური შემოწმება დამოკიდებულია მოტივაციის, კომპეტენციისა და გავლენის სფეროების შესაბამისობაზე. ეფექტური შემოწმების განხორციელების მოტივაცია ძლიერია, როდესაც განცალკევებულია მოდელის შემოწმება მისი შემუშავების პროცესისაგან და როდესაც შემოწმება მოტივირებულია მოტივაციის შესაბამისი სქემით და კორპორატიული კულტურით.

მოდელური რისკების მართვის მაგალითია ბანკში შიდა რეიტინგული სისტემების ვალიდაციის სისტემა, რომლის ფარგლებში რეიტინგული სისტემის ვალიდაცია ხორციელდება სათაო ბანკის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის მიერ, რეიტინგული სისტემების ვალიდაციის მეთოდოლოგიური სტანდარტების საფუძველზე. მეთოდოლოგიის ფარგლებში ხდება ძირითადი კონცეპტუალური ბაზის, ტექნოლოგიისა და ვალიდაციის სქემის განსაზღვრა, ვალიდაციის სახეების არჩევა (პირველადი, სრული, მონიტორინგი/რეგულარული მონიტორინგი), ვალიდაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების მეთოდების/ტესტების განსაზღვრა და საბოლოო დასკვნის მომზადება ე.წ. შუქნიშნის პრინციპის გამოყენებით (წითელი – არ შეესაბამება, ყვითელი – ნაწილობრივ შეესაბამება, მწვანე – შეესაბამება).

მოდელური რისკის იდენტიფიცირებისა და შეფასების პრინციპები ვრცელდება ბანკის ყველა იმ სისტემაზე, რომელთა ფუნქციონირებამ შეიძლება გამოიწვიოს ამგვარი რისკი (რეიტინგული/სკორინგული სისტემები, საოპერაციო სისტემები და სხვა).

13.5. სხვა რისკები

13.5.1. შესაბამისობის (კომპლაენს) რისკი

შესაბამისობის რისკი მართვა მოიცავს საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკის მართვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ. შესაბამისობის რისკი საბანკო რისკების განუყოფელი ნაწილია, როგორცაა, მაგალითად, კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან, შემოსავლიანი აქტივების ხარისხთან, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვთან და დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის დამახასიათებელი საბაზრო რისკი, წლიური სამუშაო გეგმისთვის და ბანკის ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი და კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა რისკები.

მართვის ნაწილში დამტკიცებულია კომპლაენს (შესაბამისობის) პოლიტიკა, „კომპლაენს (შესაბამისობის) რისკების მართვის შესახებ“ დებულება, „საოპერაციო და კომპლაენს რისკების შეფასების წესის შესახებ“ დებულება.

შესაბამისობის რისკების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია კომპლაენს კონტროლის განყოფილება.

ბანკში დანერგილია ბანკის საქმიანობის/ბიზნესმიმართულებების შესაბამისობის რისკების თვითშეფასების სისტემა. ხდება რისკის წარმოქმნის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი ანალიზი შემდგომი პრევენციის მიზნით. ყოველკვარტალურად/ყოველწლიურად ხორციელდება შესაბამისობის რისკის დონის მონიტორინგი/მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა. მოქმედებს ანგარიშგების სისტემა.

კომპლაენს კონტროლის განყოფილება ბანკის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად იკვლევს და აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

კომპლაენს რისკების მართვის ძირითად ამოცანებს შეადგენს კომპლაენს–რისკების გამოვლენა, კომპლაენს–რისკების მონიტორინგი, აუცილებელ შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება კომპლაენს–რისკების მართვის საკითხებზე, კოორდინაცია და მონაწილეობა კომპლაენს–რისკების შემცირების კომპლექსური ღონისძიებებში. ბანკი შიდა პროცედურების შესაბამისად კომპლაენს რისკის შემთხვევები ექვემდებარება გამოვლენას, აღრიცხვას, შეფასებას, მართვას და კონტროლს/მონიტორინგს. ყველა აღნიშნული ეტაპების მიმართ არსებობს შესაბამისი პროცედურები და შიდა რეგულაციები, რომელთა მეშვეობით იმართება კომპლაენს–რისკების მართვის პროცესი.

ძირითადი ეტაპები, რომელის მიხედვითაც ხდება კომპლაენს–რისკების მართვა, არის:

- რისკის იდენტიფიცირება (გამოვლენა, შემთხვევების შესახებ მონაცემების შეკრება, ანალიზი).
- რისკის შეფასება (კომპლაენს–რისკის წარმოქმნის ალბათობისა და შესაძლო გავლენის შეფასება).
- რისკზე რეაგირება (კომპლაენს–რისკის წარმოქმნის მიმართ მიდგომების განსაზღვრა, მათ შორის მათი შედეგების მინიმუმზაციისათვის, გამოვლენილი რისკების მიმართ კონტროლის

და შეფასების მიდგომების შერჩევა, რეკომენდაციების შემუშავება, საქმიანობის კოორდინაცია კომპლენს–რისკის შემცირების კომპლექსური ღონისძიებების გასატარებლად, მენეჯმენტის, თანამშრომლების ინფორმირება კომპლენს–რისკების საკითხებზე).

- რისკის მონიტორინგი და კონტროლი (კომპლენს–რისკის ეფექტური მართვის მონიტორინგის განხორციელება, ნარჩენი კომპლენს–რისკის პერიოდული მონიტორინგი).
- ანგარიშგება (ანგარიშგების წარდგენა კომპლენს–რისკების მდგომარეობის თაობაზე ბანკის ყველა დაინტერესებული მხარეებისათვის, იმათ შორის სათაო ბანკისათვის).

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან და/ან ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

ბანკი მონაწილეობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ძალისხმევაში და წარმოადგენს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ბანკს შემუშავებული და დანერგილი აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთასთან ბრძოლის პროგრამა, რომელიც შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორც არის: „იცნობდე შენს მომხმარებელს“ და „რისკზე დამყარებული მიდგომა“. ბანკის მიერ შემუშავებულია პროცედურები და დანერგილია მექანიზმები, რომლის გამოყენებით მაქსიმალურად შესაძლებელია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების თავიდან არიდება.

საერთაშორისო სანქციების დაცვის რეჟიმის უზრუნველსაყოფად ბანკი იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილ სიებს და საქართველოს მიერ დადგენილი სანქცირებულ პირთა სია. ბანკის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების ყველა მონაწილე მხარის გადამოწმებას სიებში უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფა „Compliance Link“, რომელიც ინტეგრირებულია ძირითად საბანკო სისტემასთან. გადამოწმება მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში ბანკს ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს ბანკს აღნიშნულ ნაწილში არსებული რეგულაციების შესაბამისად დადგენილია ფინანსური სანქციები და შემოღებულია რისკის ღონის შეფასებათა სისტემა. ბანკი არასოდეს ყოფილა და იმედოვნებს, რომ არც მომავალში იქნება გამოძიების ობიექტი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რამდენადაც არსებული მოთხოვნების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ბანკისათვის მძიმე შედეგები, როგორცაა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ფინანსური და სხვა სახის სანქციები, მისი რეპუტაციის შელახვა.

13.5.2. რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის ზარალის წარმოქმნის რისკი ბანკის კონტრაგენტების, საზედამხედველო ორგანოების და დაინტერესებული მხარეების მხრიდან ნეგატიური აღქმის შედეგად, რამაც

უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ბანკის უნარზე მოახდინოს არსებული და ახალი საქმიანი ურთიერთობების სათანადო მხარდაჭერა და შეინარჩუნოს დაფინანსების მიმართ მუდმივი წვდომა.

რეპუტაციის რისკის შედეგი შეიძლება იყოს კლიენტთა (კონტრაგენტების) წრის შემცირება, საქმიანობის მიმართულებების, პროდუქტების, მომსახურების სახეებისა და მასშტაბების შემცირება ბანკის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამო.

ბანკის შექმნის დღიდან მოყოლებული ადგილი არ ჰქონია ისეთ სიტუაციას, რომელიც დაემუქრებოდა ბანკის საქმიან რეპუტაციას და მის საქმიანობას. ბანკის პრიორიტეტული ამოცანა ყოველთვის იყო და რჩება მაღალი ხარისხის საბანკო მომსახურების შეთავაზება კლიენტების უწყვეტად მომსახურების უზრუნველყოფის პირობებში.

ბოლო წლების განმავლობაში ბანკი ახდენს შთამბეჭდავი ზრდის დემონსტრირებას ყველა ძირითადი საბანკო მაჩვენებლის მიხედვით. საბანკო საქმიანობის განვითარების მაჩვენებლების მიხედვით წარმოადგენს საქართველოს საბანკო სისტემის ერთ-ერთ მოწინავე ბანკს და გააჩნია თავის მტკიცე ადგილი საბანკო მომსახურების ერთიან სისტემაში.

ბანკის მაღალი რეპუტაცია დადასტურებულია საერთაშორისო რეიტინგული კომპანიების ბოლოდროინდელი შეფასებებით, რომლის მიხედვითაც იგი ინარჩუნებს BB- რეიტინგს „სტაბილური“ პროგნოზით, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ბანკთან არსებული საქმიანი ურთიერთობებით.

ბანკი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ დარჩეს ღია, გამჭვირვალე იმიჯის მქონე ბანკად, რომელიც ორიენტირებულია კომპანიის ინვესტორების, კლიენტებისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებისაკენ.

13.5.3. სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკი არის ბანკის საქმიანობის შედეგების არახელსაყრელი ცვლილების რისკი ბანკის მართვის პროცესში მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად, მათ შორის ბანკის სტრატეგიის შემუშავების, დამტკიცებისა და რეალიზაციის დროს, ასევე ბანკის მართვის ორგანოების უუნარობა გაითვალისწინოს გარე პირობების ცვლილებები.

სტრატეგიული რისკის შემცირების მიზნით ბანკში არსებობს ბანკის სტრატეგიის, სტრატეგიული დაგეგმვის და ანალიზის შემუშავების, რეალიზაციის და დაზუსტება/გადასინჯვის სისტემა საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ბანკის უმაღლესი დონის შიდაორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, ბანკის პრიორიტეტული მიმართულებებს განსაზღვრავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. ბანკის დირექტორატი შეიმუშავებს ყოველწლიურ ბიზნეს-გეგმას, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკის სტრატეგიის მომზადება ხორციელდება გარე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, საბანკო სექტორის განვითარების და ბაზარზე კონკურენტულ მდგომარეობის დეტალური ანალიზის შედეგად. ბანკის სტრატეგიის შემუშავება ხორციელდება ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით, ასევე სათაო ბანკის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სტრატეგიის შემუშავების პროცესში კეთდება ბანკის მიმდინარე პოზიციის შეფასება კონკურენტულ საბანკო სეგმენტში, ასევე ბოლო 2-3 წლიან პერიოდში მიღწევებსა.

ბანკის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები საფინანსო სამმართველოსთან კოორდინაციის გზით, აფასებენ ბიზნესის ამა თუ იმ მიმართულებების განვითარების შესაძლებლობებს, ბაზრის განვითარებისა და კონკურენტების საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ხდება ბაზრის წილის სტრატეგიული ამოცანების, მოცულობითი მაჩვენებლების, შემოსავლიანობის და მათი სტრუქტურის, ასევე ბიზნესის სეგმენტში ეფექტურობის დონის განსაზღვრა. განისაზღვრება და ფიქსირდება მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისათვის, ტარდება ბანკის არსებული და აუცილებელი კონკურენტული უპირატესობების ანალიზი ბიზნეს-მიმართულებების მიხედვით მიზნობრივი ორიენტირებისა და შედეგების მისაღწევად.

საფინანსო სამმართველო ახორციელებს სტრატეგიის შესრულების კონტროლს, წარმართავს მუშაობას ბანკის ბიზნეს-გეგმების შესამუშავებლად მოცემული ბიზნესის მიმართულებების მიხედვით.

სტრატეგიის მიერ განსაზღვრული ამოცანების რეალიზაციის პროცესში გარემო პირობების და/ან საბანკო ბიზნესის რომელიმე სეგმენტში მიღწეული შედეგების პროგნოზიდან საგრძნობი გადახრების შემთხვევაში, შესაძლებელია სტრატეგიის გადახედვა ამ სეგმენტში.

13.5.4. დარგობრივი რისკები

დარგობრივი რისკი არის იმის რისკი, რომ ბანკის მიიღებს ზარალს რომელიმე დარგში მისი აქტივების ზედმეტად კონცენტრაციისა ან /და რომელიმე დარგში განთავსებათა არაეფექტურობის გამო, რაც დაკავშირებულია დარგში განვითარებულ პრობლემებთან.

ბანკის აზრით მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დარგში და ბანკის შესაძლო მოქმედებები, არის:

- ქვეყნის საფინანსო ბაზრისათვის დამახასიათებელი რიკების გავლენა, როგორცაა:
 - საფინანსო და კაპიტალის ბაზრებზე პროცენტული განაკვეთების ცვლილება.
 - ვოლატილობის დონის ცვლილება (საბაზრო ფასების ცვლილების დონე) ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე.
 - საერთო საინვესტიციო გარემოს გაუარესება ქვეყანაში.
 - კანონმდებლობის შეცვლა, რომელიც გავლენას ახდენს დარგის საქმიანობაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების ცვლილებას ბანკი აფასებს არსებითი ხასიათის ცვლილებად და მოცემული რისკები გავლენას ახდენენ ბანკის საქმიანობაზე. ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის გაუარესებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციაზე და არ ექვემდებარება ბანკის კონტროლს.

ბანკის ეწევა ზემოაღნიშნული რისკების შეფასებას შიდა მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის ამოცანაა დარგობრივი რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პრინციპებისა და მიდგომების ერთიანობის უზრუნველყოფა, დარგობრივი რისკების მართვის ეფექტური მექანიზმების რეალიზაცია. აღნიშნული მეთოდოლოგიის ფარგლებში ხდება დარგების რისკების შეფასება გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც დგინდება ამა თუ იმ დარგის შესაბამისი რისკის დონე ბანკისათვის. შეფასებისათვის გამოიყენება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროები ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ბანკის შიდა წყაროები.

აუცილებლობის შემთხვევაში, ბანკის აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტს აქვს უფლება დააწესოს ამა თუ იმ დარგის მიმართ შიდა ლიმიტები და შეზღუდვები.

13.5.5. ქვეყნის რისკი

ემიტენტის ქვეყნის რისკი არის იმის რისკი, რომ ემიტენტი მიიღებს ზარალს უცხოური და საქართველოს კონტრაგენტების მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ცვლილებების გამო, ასევე იმის გამო, რომ ფულადი ვალდებულებების ვალუტა აღმოჩნდება ხელმიუწვდომელი კონტრაგენტისათვის მათი ეროვნული კანონმდებლობის ცვლილების გამო მიუხედავად თავად კონტრაგენტის ფინანსური მდგომარეობისა.

ქვეყნის რისკების მონიტორინგი და კონტროლი ხდება ქვეყნის რისკების მართვის სისტემის ფარგლებში.

ქვეყნის რისკების მართვის სისტემა გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

- მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული სუვერენული რეიტინგების შეკრებას.
- ბანკის შიგნით ქვეყნების რანჟირებას რისკის ჯგუფებად მაკროეკონომიკური და სუვერენული რეიტინგების ანალიზის შედეგად (ხორციელდება ვეტებუ ჯგუფის დონეზე).
- გაანგარიშებითი ლიმიტების განსაზღვრა ქვეყნების ჭრილში.
- ქვეყნების მიხედვით რისკების კონცენტრაციის გაანგარიშება.
- ქვეყნის რისკების სტრუქტურული ანალიზი საკრედიტო ოპერაციების ცალკეული სახეების მიხედვით.
- ქვეყნების გამოვლენა, სადაც არსებობს მაღალი რისკი ან კონცენტრაციის მაღალი რისკი გაანგარიშებითი ლიმიტების მნიშვნელობასთან მიმართებით.

- ქვეყნების მიხედვით ლიმიტების პერიოდული განხილვა ბანკის კოლეგიალური ორგანოს მიერ.

ქვეყნის რისკების მართვის სისტემა შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება უცხოურ კონტრაგენტთან ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობის შესახებ ქვეყნის რისკის მიმდინარე კონცენტრაციის დონის გათვალისწინებით.

14. გამოშვებული აქციების კლასი და რაოდენობა.

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერის – საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ ვეტებს“ 2017 წლის 2 ივნისის ერთპიროვნული გადაწყვეტილების თანახმად დადგინდა, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ განხორციელდეს 17 715 576 (ჩვიდმეტი მილიონ შვიდას თხუთმეტი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზება.

ჩვეულებრივი აქციების ემისიის მიზანს წარმოადგენს ბანკის კაპიტალის ზრდა ბანკის მიმდინარე საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ემისიის შედეგად მიღებული სახსრები გამოყენებული იქნება ბანკის აქტიური ოპერაციების დასაფინანსებლად, მათ შორის კორპორატიული და ფიზიკური პირების დასაკრედიტებლად.

თითოეული გამოშვებული აქციის პირველადი ფასი, რომელზე ნაკლებადაც დაუშვებელია წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებულ აქციათა გასხვისება (ნომინალური ღირებულება), შეადგენს 1 (ერთ) ლარს. აქციის კლასი არის ჩვეულებრივი, რომელიც თავის მფლობელს უფლებას ანიჭებს მიიღოს დივიდენდი ემიტენტის მოგებიდან და გამოიყენოს ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე.

წინამდებარე ემისიის პროსპექტით არ ხდება აქციათა მფლობელთა სახელით აქციათა შეთავაზება.

15. გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლების შეძენა.

ბანკის მიერ აქციათა ყოველი ახალი ემისიისას, ემიტირებულ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერებს. ბანკის მიერ წინამდებარე ემისიის პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული აქციების, ნომინალური ღირებულებით, უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ ბანკის აქციონერებს, ემისიის პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის მათ საკუთრებაში არსებულ აქციათა რაოდენობის პროპორციულად. აქციონერთა მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციისათვის დაწესებული ვადა შეადგენს ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების დღიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეს.

ემისიის პროსპექტის გამოქვეყნება განხორციელდება შემდეგი წესით: ემისიის პროსპექტი განთავსებული იქნება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ვებ გვერდზე (www.vtb.ge).

ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ განთავსებული იქნება განცხადება, რომელშიც აღნიშნული იქნება: ემისიის პროსპექტის დამტკიცების შესახებ, ემიტირებული აქციების საერთო რაოდენობა, ბანკის აქციონერთა მიერ აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის საბოლოო ვადა, აქციონერებისადმი

შეთავაზება განახორციელონ აქციათა ღირებულების გადახდა, კაპიტალში აქციონერის წილის პროპორციულად, ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რეკვიზიტები რომლებზეც უნდა განხორციელდეს აქციონერთა მიერ აქციათა ღირებულების გადახდა და ასევე ინფორმაცია თუ სად შეიძლება ემისიის პროსპექტის გაცნობა. ამავე დროს, ბანკის კაპიტალის 1%-ზე მეტის მფლობელ აქციონერებს ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება, რომელშიც გარდა ზემოაღნიშნული მონაცემებისა დამატებით მითითებული იქნება აქციონერის წილი ბანკის კაპიტალში.

აქციონერის მიერ, რომელიც ფლობს აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლებას, ბანკის კაპიტალში შენატანის განუხორციელებლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ ასეთმა აქციონერმა უარი განაცხადა ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე. განუთავსებელი აქციების (შემდგომ “დარჩენილი აქციები”), ნომინალური ღირებულებით, შესყიდვის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებმაც ემისიის პროსპექტის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელეს ბანკის კაპიტალში შენატანის შეტანა (შემდგომ “დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია”). აქციონერებს, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, უფლება აქვთ სრულად შეიძინონ დარჩენილი აქციები ბანკის კაპიტალში კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად, იმ აქციონერთა აქციათა გაუთვალისწინებლად, რომლებმაც უარი განაცხადა ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლებაზე.

იმ შემთხვევაში თუკი აქციონერი, რომელმაც დადგენილ ვადაში განახორციელა უპირატესი უფლების რეალიზაცია, გამოხატავს ნებას დარჩენილი აქციები შეიძინოს უფრო ნაკლები რაოდენობით ვიდრე მას ეკუთვნის დარჩენილი აქციების საერთო რაოდენობაში, მაშინ აქციების უფრო მეტი რაოდენობით შეძენის უფლება აქვს იმ აქციონერებს, რომელმაც გამოხატეს დარჩენილი აქციების შეძენის სურვილი.

თუ აქციონერთაგან, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია, ყველამ გარდა ერთისა არ გამოხატა ნება დარჩენილი აქციების შეძენაზე, მაშინ ყველა დარჩენილი აქციების შეძენის უფლება აქვს იმ აქციონერს, რომელმაც გამოხატა სურვილი დარჩენილი აქციების შეძენაზე.

ემიტირებული აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის ვადის ამოწურვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, აქციონერებს რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია ეგზავნებათ წერილობითი წინადადება მიიღონ მონაწილეობა დარჩენილი აქციების შეძენაში, სადაც მიეთითება დარჩენილი აქციების რაოდენობა და მათი შეძენის ვადა.

აქციონერებს, რომლებმაც დადგენილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და შეიტანეს შენატანები ბანკის კაპიტალში, დარჩენილი აქციების შეძენაზე ბანკში განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ ბანკის მიერ დარჩენილი აქციების შეძენაზე წერილობითი წინადადების გაგზავნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში (არა უგვიანეს აღნიშნული ვადის ბოლო დღის

18:00 სთ. თბილისის (დროით). განაცხადი ბანკში შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ფოსტის, კურიერის ან ელ.ფოსტის მეშვეობით.

განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში ბანკი აჯამებს მიღებულ განაცხადებს და აქციონერებს, რომლებმაც დადგინილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და ბანკში წარმოადგინეს განაცხადი დარჩენილი აქციების შეძენაზე, ფოსტის, კურიერის, ელ.ფოსტის, ან ფაქსის მეშვეობით უგზავნის შეტყობინებას, იმ აქციათა რაოდენობის მითითებით, რომლებიც შეიძლება რეალიზებულ იქნას ასეთ აქციონერებზე.

აქციონერებს, რომლებმაც დადგინილ ვადაში განახორციელეს უპირატესი უფლების რეალიზაცია და გამოთქვეს დარჩენილი აქციების შეძენის სურვილი, უფლება აქვთ ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელონ აქციათა ღირებულების გადახდა.

თუკი ზემოაღნიშნული წესითა და ვადებში დარჩენილი აქციები სრულად არ იქნება განთავსებული, მაშინ ბანკის დირექტორატი უფლებამოსილია 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელოს დარჩენილი აქციების განთავსება ნებისმიერ პირებს შორის, რომლებიც გამოხატავენ ნებას მათი შეძენისა.

ემიტენტის მიერ შეთავაზებულ საჯარო ფასიან ქაღალდებზე გარიგებები დაიდება საფონდო ბირჟის გარეთ.

აქციათა ღირებულების გადახდა ხორციელდება ეროვნული ვალუტაში, ლარში, ფულადი სახსრების უნაღდო ანგარიშსწორებით გადარიცხვის გზით, შემდეგ რეკვიზიტებზე: JSC VTB Bank (Georgia) SWIFT: UGEBGE22 IBAN: GE17VT0100000009444501.

ემიტენტი წარუდგენს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს სს „კავკასრეესტრს“ შესაბამის დოკუმენტაციას აქციათა მფლობელების შესახებ. საკუთრების უფლება ბანკის მიერ დამატებით გამოშვებულ აქციებზე წარმოიშობა მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გადახდილი შეძენილი აქციების და რეგისტრატორის (სს „კავკასრეესტრი“) მომსახურების ღირებულება, დაკავშირებული შეძენილი აქციების რეესტრში ასახვასთან.

16. მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოქმედი ან პოტენციური აქციონერისათვის

- 16.1. ბანკის ყოველი ჩეულებრივი აქცია ანიჭებს აქციონერს უფლებათა ერთნაირ მოცულობას, კერძოდ, ბანკის ჩეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ:
 - 16.1.1. მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრებაში, ყველა საკითხთან დაკავშირებით [ერთი აქცია აქციონერს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას საერთო კრებაზე].
 - 16.1.2. მიიღონ დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

- 16.1.3. ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღონ ბანკის ქონების ნაწილი, მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
- 16.2. ბანკის შიდა კორპორაციული ურთიერთობები განისაზღვრება წესდებით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://ge.vtb.ge/about/publicdata/>
- 16.3. დივიდენდის განაწილება არ წარმოადგენს ემიტენტის ვალდებულებას და აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ხდება აქციონერთა საერთო კრების მიერ.
- 16.4. ემისიის პროსპექტის ფარგლებში მოცემული ოპერაცია - აქციების ემისია და მისი ბაზარზე განთავსება, როგორც პირველადი, ასევე მეორადი, გადასახადებით არ იბეგრება. თუმცა, პირი, ვინც შეიძენს ბანკის აქციებს, ის როგორც საქართველოს საწარმოს აქციების მფლობელი, განიხილება, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივის მფლობელად. აქედან გამომდინარე, თუ ინვესტორი ამ აქციებს გაასხვისებს, მაშინ ის დაიბეგრება:
 - 16.4.1. იურიდიული პირის შემთხვევაში - მოგების გადასახადით, აქციების შეძენის ფასსა და გასხვისების ფასს შორის სხვაობით გაანგარიშებულ მოგებაზე. აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში სხვა გადასახადი არ წარმოიშობა.
 - 16.4.2. ფიზიკური პირის შემთხვევაში - საშემოსავლო გადასახადი აქციების შეძენის ფასსა და გასხვისების ფასს შორის სხვაობით გაანგარიშებულ შემოსავალზე. ამასთან, თუ ფიზიკური პირი გაასხვისებს 2 და მეტი წლის ფლობის შემდეგ აქციებს, მაშინ ამგვარი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი დაბეგვრისგან განთავისუფლებულია.
- 16.5. დივიდენდი, რომელიც განაწილდება აქციის მფლობელს, დაიბეგრება იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელი არის ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი პირი. დაბეგვრის განაკვეთი შეადგენს 5%.
- 16.6. აქციების გამოშვება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ პოტენციურმა ინვესტორმა უნდა გააცნობიეროს ის რისკები, რომელიც თან ახლავს ბანკის აქციების შეძენას. ეს რისკები შეიძლება იყოს:
 - 16.6.1. პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში და დარგში (პოლიტიკური რისკი, ქვეყნის რისკი, დარგობრივი რისკი).
 - 16.6.2. პროცენტული განაკვეთის, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, ინფლაცია და სხვა ფინანსური რისკები.
 - 16.6.3. ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების ცვლილებები ანუ საკანონმდებლო პრაქტიკა (სამართლებრივი რისკი).
 - 16.6.4. ეკონომიკის საქმიანობის თავისებურებანი (ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები).
 - 16.6.5. აქციის ფასის ცვლილების რისკი. აქციების ფასის ცვლილება ემისიის პროსპექტის მოქმედების პერიოდში არ იგეგმება და მისი ცვლილების რისკის არ არსებობს.
 - 16.6.6. წილის განზავების (dilution) რისკი, რომელიც მდგომარეობს მინორიტარი აქციონერების წილის შემცირებით ახალი ემისიის დროს, დადგება მინორიტარების მიერ კუთვნილი აქციების წილის შეძენაზე უარის თქმის შემთხვევაში.

მოცემული რისკების დეტალური განმარტებები მოცემულია წინამდებარე ემისიის მე-13 მუხლში.

აქციათა განთავსების შედეგად მიღებული შემოსავლების გამოყენება.

აქციათა განთავსებით მიღებულ სახსრებს გამოიყენებს საკრედიტო დაბანდების გაზრდისათვის და მანქანისათვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების დასაცავად.

„საერთაშორისო ბანკი ჯორჯიას“
სამართლებრივი საბჭოს თავმჯდომარე

✓ 

მ. ზადორნოვი

„საერთაშორისო ბანკი ჯორჯიას“
ფინანსური დირექტორი



ა. კონცელიძე